

# 1927 წლიდან თბილისის უნივერსიტეტი

24 აპრილი, 2025



№ 2 [2256]



თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია საქართველოს სამეფო აზიური საზოგადოების პირველი წევრი გახდა

2 გვ.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო ენის სავალდებულო სწავლება აღდგება

3 გვ.



ღია კარის დღე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში  
თსუ-ს 7 ფაკულტეტის დეკანებმა სასწავლო პროგრამები წარადგინეს

9 გვ.




**ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 149-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიხსნა**

ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 149-ე წლისთავის აღსანიშნავად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. ღონისძიებაზე, რომელიც თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ გახსნა, პროფესორ-მასწავლებლებმა ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაზე მოხსენებები წარმოადგინეს.

3 გვ.

## უნივერსიტეტის ოქროს მედლით დაჯილდოებული მეცნიერები

14 გვ.



**პოლიტოლოგები მე-19 საუკუნის ეროვნული მოძრაობების ერთიან კონტექსტში შესწავლას იწყებენ**

4 გვ.



**სტუდენტური ფურცელი**

5-12 გვ.



საქართველოს რეგიონების საზოგადოებრივ-გეოგრაფიული ატლასის ელექტრონული ვერსია მზადაა

15 გვ.



თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელის გეგმები

4 გვ.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის რეფორმა იწყება

13 გვ.



# ქრონიკა



გერმანულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, თსუ-ს რექტორი ჯაბა სამუშია 20 გერმანული უნივერსიტეტის რექტორებს, პრეზიდენტებსა და ვიცე-რექტორებს შეხვდა.

შეხვედრის ფარგლებში თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ და კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) პრეზიდენტმა კარლ შტოფელმა ორ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

შეთანხმების მიხედვით საფუძველი ჩაეყრება ერთობლივ საბაკალავრო პროგრამას ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით „მდგრადი ტრანსფორმაციის მენეჯმენტი“ (Sustainable transformation management).

მემორანდუმი შესაძლებლობას იძლევა, რომ უახლოეს მომავალში ამოქმედდეს საბაკალავრო პროგრამა და სტუდენტების პირველი ნაკადიც მიიღოს.

\*\*\*

თსუ-ს რექტორის მოადგილემ ერეკლე ასტახიშვილმა ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის (EUA) ყოველწლიურ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ლატვიის უნივერსიტეტში გაიმართა.



კონფერენციის ფარგლებში, EUA-ის წევრი უნივერსიტეტების ლიდერები და ექსპერტები სხვადასხვა ევროპული ქვეყნიდან განიხილავდნენ – როგორ შეუძლიათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ხელი შეუწყონ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და შეიმუშაონ სტრატეგიები კრიზისების ეფექტურად სამართავად.

მონაწილეობა ასევე განიხილეს EUA-ის სტრატეგიული გეგმის რეფორმის გზები, აკადემიური განვითარების შესაძლებლობები, უნივერსიტეტების ციფრული ტრანსფორმაცია და დაფინანსების მდგრადი მოდელები.

კონფერენცია მნიშვნელოვანი პლატფორმა აღმოჩნდა ევროპული უნივერსიტეტების მჭიდრო თანამშრომლობისთვის, რაც კიდევ უფრო გაამყარებს EUA-ის წევრ უნივერსიტეტებს გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში.

\*\*\*

თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ სტამბოლში, ევრაზიის უნივერსიტეტთა



ასოციაციის (EURAS) მმართველი საბჭოს შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

შეხვედრაზე EURAS-ის წევრი უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა 2024 წლის საქმიანობა შეაჯამეს და 2025 წლისთვის დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების მიმდინარეობა განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების განსაზღვრას და მომავალი წლისთვის დაგეგმილი აქტივობების განხილვას.

შეხვედრაზე გამოითქვა სურვილი – 2026 წლის EURAS აკადემიის თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარების თაობაზე. აღნიშნული ინიციატივა წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ეტაპს თსუ-ს საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებისა და უნივერსიტეტის საერთაშორისო აკადემიურ ქსელში პოზიციონირებისთვის.

EURAS-ი ყოველწლიურად მართავს საგანმანათლებლო სამიტს, რომელზეც წევრ უნივერსიტეტებს შესაძლებლობა ეძლევათ ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება, განიხილონ გლობალური გამოწვევები უმაღლესი განათლების სისტემაში და შეიმუშაონ ერთობლივი გადაწყვეტილებები.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა სტამბოლის ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც შეხვედრა გაიმართა უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ ჰასან მანდალთან.

სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტი, რომელიც 1773 წელს დაარსდა, თურქეთის უძველესი და მსოფლიოში სიძველით მესამე ტექნიკური უნივერსიტეტია. უნივერსიტეტს 40 000-მდე სტუდენტი ჰყავს და ის მაღალი საერთაშორისო აკადემიური რეპუტაციით სარგებლობს.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოების შესაძლებლობები, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლის მექანიზმებს. ხაზი გაესვა საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამების, მათ შორის ERASMUS + -ის ფარგლებში თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელობას.



მხარეებმა ასევე ისაუბრეს ერთობლივი კვლევითი პროექტების მომზადებისა და განხორციელების მიმართულებით სამომავლო გეგმებზე. განსაკუთრებული ინტერესი გამოიკვეთა ისეთ დარგებში თანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისით, როგორებიცაა მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, ფიზიკა, ქიმია და ინტერდისციპლინური მეცნიერებები.

\*\*\*

თსუ-ს რექტორის მოადგილემ ერეკლე ასტახიშვილმა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაში „იტალიასა და საქართველოს შორის აკადემიური თანამშრომლობა: ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია – ACIG 2025“ მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება მიზნად ისახავდა

ქართულ და იტალიურ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და ერთობლივი საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდაჭერას.

ერეკლე ასტახიშვილმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაზე და უნივერსიტეტის ძალისხმევაზე საერთაშორისო პარტნიორული ქსელის გაფართოებისა და გლობალურ აკადემიურ სივრცეში ინტეგრაციის კუთხით.

\*\*\*

საქართველოსა და უზბეკეთს შორის საუნივერსიტეტო თანამშრომლობის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ და ფერვანას (უზბეკეთის რესპუბლიკა) სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ბახოდირჯონ შერმუხამდოვმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.



ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის პარტნიორობისა და მჭიდრო საერთაშორისო ურთიერთობების გათვალისწინებით (განათლებისა და მეცნიერების სფეროში) ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარების მიზნით გაფორმდა.

მემორანდუმი ითვალისწინებს ორ უნივერსიტეტს შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, აგრეთვე, სტაჟირებისა და სამეცნიერო პრაქტიკის მიზნით სტუდენტთა გაცვლას; ერთობლივი, მათ შორის ორმაგი ხარისხის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკის „მეგობართა კლუბის“ ორგანიზებით ცნობილი ქართველი პოეტისა და მწერლის, უნივერსიტეტელის ოთარ ჭილაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

ღონისძიებაზე უნივერსიტეტის თეატრალურმა დასმა „სხვენი“ პოეტის ბიოგრაფიის ინსცენირება წარმოადგინა. სტუდენტებმა წაიკითხეს ჭილაძის გამორჩეული ლექსები. საღამოს ესწრებოდნენ ოთარ ჭილაძის ოჯახის წევრები, ახლობლები, მეგობრები და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები.

\*\*\*

თსუ-ის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „უნივერსიტეტი“ იტალიის ქალაქ აგრიჯენტოში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე „Mandorlo in Fiore 77“ საქართველო ღირსეულად წარმოაჩინა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპის მასშტაბით პირველ ადგილზე გავიდა, ხოლო მსოფლიო მასშტაბით – მეორეზე.

ფესტივალში 35 ქვეყანა მონაწილეობდა, ხოლო საუკეთესოდ დასახელდა სამი ანსამბლი:

- ჩილე
- საქართველო – თსუ-ს ანსამბლი „უნივერსიტეტი“
- სერბეთი

მოამზადა  
საზოგადოებასთან  
ურთიერთობის დეპარტამენტმა

## თსუ-ს რექტორი ჯაბა სამუშია საქართველოს სამეფო აზიური საზოგადოების პირველი წევრი გახდა



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია საქართველოს სამეფო აზიური საზოგადოების პირველი წევრი გახდა. საქართველოს სამეფო აზიური საზოგადოება დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო აზიური საზოგადოების წევრია 2023 წლიდან.

თსუ რექტორს საზოგადოების სამკერდე ნიშანი საქართველოს სამეფო აზიური საზოგადოების პრეზიდენტმა, ისტორიკოსმა გიორგი კალანდიაძემ, ხოლო წევრობის დამადასტურებელი სერტიფიკატი საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა თამარ ლაცაბიძემ გადასცეს.

„ბევრი არ გვიფიქრია, თუ ვინ უნდა ყოფილიყო საზოგადოების პირველი წევრი. დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო აზიური საზოგადოების ხელმძღვანელობასთან ერთად გადაწყვიტეთ, რომ ეს პიროვნება უნდა ყოფილიყო ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი და, ამავე დროს, თავად უნდა ყოფილიყო ისეთი პიროვნება, რომელსაც საზოგადოება პატივს სცემს. ამიტომაც გადავწყვიტეთ თსუ-ს რექტორი, ისტორიკოსი ჯაბა სამუშია მიგველო საზოგადოების პირველ წევრად“, – განაცხადა გიორგი კალანდიაძემ.

თსუ-ს რექტორის ჯაბა სამუშიას თქმით, დიდი პატივი და დიდი ნდობის გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ ათწლეულების შემდეგ ქართველ მეცნიერთაგან პირველი გახდა ამ საზოგადოების წევრი.

„დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო აზიური საზოგადოება საუკუნეზე მეტია ახორციელებს საინტერესო კვლევებს აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებით. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საზოგადოების წარმომადგენლობის საქართველოში დაარსებას, ამით ქართველი მეცნიერები კიდევ უფრო დაუახლოვდებიან მსოფლიო მეცნიერთა დიდ ოჯახს. ეს ხელს შეუწყობს ქართველოლოგიის პოპულარიზაციასა და განვითარებას, უცხოელი მეცნიერების ამ დარგით დაინტერესებას“.

დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო აზიური საზოგადოება 1823 წელს დააარსა ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა, აღმოსავლეთმცოდნემ, სანსკრიტოლოგმა ჰენრი თომას კოლბრუკმა. საზოგადოებამ 1824 წელს მეფე გეორგ მეოთხისგან მიიღო სამეფო ქარტია აზიასთან დაკავშირებული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნახალისებისა და მფარველობისთვის. 1834 წლიდან საზოგადოების სამეცნიერო ჟურნალს წელიწადში ოთხჯერ გამოსცემს კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თავის დროზე სამეფო საზოგადოების წევრები იყვნენ იოანე ბატონიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და გიორგი ნერეთელი.



# ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 149-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიხსნა

უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით, მომავალ წელს, ივანე ჯავახიშვილის 150 წლის იუბილეს აღსანიშნავად შეიქმნება კომისია, რომელიც დაკომპლექტდება საუნივერსიტეტო საზოგადოების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საპატრიარქოს წარმომადგენლებით, უნივერსიტეტების რექტორებით. „სექტემბრიდან დაიწყებთ აქტიურ სამზადისს, რომ ივანე ჯავახიშვილის 150 წლის იუბილე არა მარტო უნივერსიტეტმა, არამედ მთელმა ქვეყანამ აღნიშნოს“, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ჯაბა სამუშიას თქმით, მეოცე საუკუნის ქართული მეცნიერება, პოლიტიკური ცხოვრება, ქართული საზოგადოების აზროვნება განსაზღვრა ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. „ივანე ჯავახიშვილი იყო ევროპული მეცნიერების მიმდევარი. მან სხვა მასშტაბში და სხვა დონეზე აიყვანა საქართველოს ისტორიის კვლევა. დიდი მეცნიერის გარდა, იგი იყო ღირსეული ადამიანი, გამორჩეული პატრიოტიზმით და თავმდაბლობით“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 149-ე წლისთავისადმი მიძღვნილი პროფესორ-მასწავლებელთა ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა. ფაკულტეტის ორგანიზებით, ასევე, გა-



„**სექტემბრიდან დაიწყებთ აქტიურ სამზადისს, რომ ივანე ჯავახიშვილის 150 წლის იუბილე არა მარტო უნივერსიტეტმა, არამედ მთელმა ქვეყანამ აღნიშნოს**“

იმართება ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია.

„ეს დღე არა მარტო უნივერსიტეტებისთვის, არამედ ყველა ქართველისთვის მნიშვნელოვანია. 149 წლის წინ დაიბადა ადამიანი, რომლის დამსახურებითაც ვასწავლით, ვსწავლობთ და



ვიკვლევთ უამრავ რამეს“, – განაცხადა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ. მისი თქმით, ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ტრადიცი-



ულად, ყოველ 23 აპრილს აღნიშნავს. ღონისძიების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესორებთან და სტუდენტებთან ერთად ივანე ჯავახიშვილის საფლავი გვირგვინით შეამკო.

## უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო ენის სავალდებულო სწავლება აღდგება

გადაწყვეტილება

ენოლოგია

„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფო ენის სავალდებულო სწავლების შესახებ“ – ასე ჰქვია თსუ-ს პროფესორების ნანა მაჭავარიანისა და გიორგი გოგოლაშვილის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადებას, რომელიც ქართული ენის დღეს, 14 აპრილს, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა განიხილა. როგორც კომიტეტის თავმჯდომარე გივი მიქანაძემ განმარტა, საკანონმდებლო წინადადების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო ათწლეულებში ხშირია საუბარი იმის თაობაზე, რომ ქართული ენის (სახელმწიფო ენის) ცოდნის დონე სტუდენტებში ძალიან დაბალია. ამას ადასტურებს როგორც შიდა, ისე გარე კვლევები. 2021 წელს დამტკიცებულ სამთავრობო დოკუმენტში – „სახელმწიფო ენის სტრატეგია“ – ხაზგასმით აღინიშნა: „ფაქტია: ნიგნიერების დაბალი დონე და ყველა უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენის პრაქტიკული კურსების არარსებობა (გარდა პროფილური ფაკულტეტებისა) უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებში ვერ უზრუნველყოფს აბიტურიენტობის დროს შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და განვითარებას. სტრატეგიაზე მუშაობისას გაანალიზებული იქნა რუსთაველის საზოგადოების მიერ ჩატარებული ზედაპირული მოკვლევის



გიორგი გოგოლაშვილი

მასალები, რომლებიც ცხადად აჩვენებენ საუნივერსიტეტო საფეხურზე ქართული ენის ფლობისა და ნიგნიერების დაბალ დონეს“ („სახელმწიფო ენის სტრატეგია“, თბ. 2021, გვ. 30).

„სტრატეგიაში“ აღნიშნული „ქართული ენის პრაქტიკული კურსი“ ის საუნივერსიტეტო კურსია, რომელიც შემოღებული იქნა 1978 წლის 14 აპრილის ისტორიული გამარჯვების შემდეგ. ეს საგანი იკითხებოდა საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ყველა სპეციალობაზე 2005 წლამდე.

2005 წელს რეგულაციის გზით მოსულმა ხელისუფლებამ სავალდებულო საუნივერსიტეტო საგანი – „ქართული ენა“ – გააუქმა. ეს იყო ნაწილი იმ



ნანა მაჭავარიანი

ღონისძიებებისა, რომლებიც იმ ხელისუფლებამ გაატარა სახელმწიფო ენის მიმართ (დახურეს ენის სახელმწიფო პალატა; გააუქმეს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის კომისია; პარლამენტში გააუქმეს სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი; დაიხურა ყველა რადიო და ტელეგადაცემა ქართული ენის შესახებ; დაიხურა ყველა ჟურნალ-გაზეთი ქართული ენის შესახებ; სკოლაში შემცირდა ქართული ენის საათები...)... როგორც საკანონმდებლო წინადადების ერთ-ერთი ავტორი გიორგი გოგოლაშვილი აღნიშნავს, დღემდე ყოველგვარი მცდელობა ამ საგნის აღდგენისა წარუმატებელი აღმოჩნდა...

თსუ-ს პროფესორების მიერ წარდგე-

ნილი საკანონმდებლო წინადადების შესახებ დადებითი დასკვნა წარმოადგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ და სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა.

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ წინა ხელისუფლების მიერ უკანონოდ გაუქმებული სახელმწიფო ენის სავალდებულო სწავლება უნდა აღდგეს უმაღლეს სასწავლებლებში. შესაბამის კანონში უნდა განხორციელდეს შემდეგი ცვლილება: „საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილ სახელმწიფო ენის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოა“.

„ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართული ენის შესწავლასა და ნიგნიერების დონის ამაღლებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებში. კომიტეტმა ერთხმად დაუჭირა მხარი ჩვენ მიერ წარდგენილ წინადადებას და იგი „ცნობილი იქნა მისაღებად“. ბატონმა გივი მიქანაძემ განმარტა, რომ შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ პარლამენტი საგაზაფხულო სესიაზე სახელმწიფო ენის კანონში შეიტანს ამ დამატებას“, – აღნიშნა გიორგი გოგოლაშვილმა.



# თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელის გეგმები

ინტერვიუ

თამარ ღაღინაძე

თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი ჰყავს – **ზურაბ გოგშელიძე**, რომელიც თსუ-ში მოღვაწეობას უდიდეს პასუხისმგებლობად თვლის და რომლის საქმიანობის სტრატეგიულ მიზანს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესისა და სტუდენტთა მომსახურების უფრო ეფექტური მართვა წარმოადგენს, რათა მისი შინაარსი და ფორმები მაქსიმალურად მიუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

ზურაბ გოგშელიძემ გასული წლის თებერვალში დაიცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის“ (ხელმძღვანელი – პროფესორი მერაბ ტურავა) და მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. 2017-2019 წლებში იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მონვეული ლექტორი იყო; უკვე რამდენიმე წელია კი თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მონვეული ლექტორია. ამავ დროს, მას ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა უკავია საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში. არის ერთი მონოგრაფიისა და რამდენიმე სტატიის ავტორი. ბოლო დრომდე მისი საქმიანობა დაკავშირებული იყო თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტთან სხვადასხვა პოზიციებზე, მათ შორის, ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურში. სულ ცოტა ხნის წინ კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა.

– ბატონო ზურაბ, უკვე ერთი თვეა ახალ პოზიციაზე აგრძელებთ მუშაობას და შედეგად გაიცანით დეპარტამენტის საქმიანობა. თქვენი გადმოსახედიდან, რა შეიძლება შეიცვალოს



**ტექნოლოგიების შემოტანა, მათთან დაახლოება იქნება ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი სასწავლო დეპარტამენტის განვითარების კუთხით: კერძოდ, ხელოვნური ინტელექტისა და BigData-ს გამოყენება სასწავლო პროცესში; ციფრული პლატფორმების გაუმჯობესება ადმინისტრაციული პროცესების ავტომატიზაციისთვის; ვირტუალური ლაბორატორიების დანერგვა და სხვა.**

სასწავლო პროცესის განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფას მხრივ, რომ უფრო ეფექტური გახდეს დეპარტამენტის საქმიანობის ხელმძღვანელობა და ხარისხიანი მართვა?

– პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სასწავლო დეპარტამენტი ემსახურება 7 ფაკულტეტს, საუბარია დაახლოებით 26 000-მდე სტუდენტზე, რომელთა ხელშეწყობასაც ვემსახურებით, როგორც სასწავლო პროცესის მანძილზე, ასევე, მის შემდგომაც, როდესაც ისინი სწავლას დაასრულებენ და გახდებიან კურსდამთავრებულები. ერთი შეხედვით, შესაძლოა არ ჩანდეს – თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა აკისრია თითოეულ თანამშრომელს დეპარტამენტში, რათა სრულყოფილად იქნას განხორციელებული სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული მთელი რი-

გი საკითხები, როგორცაა სასწავლო სემესტრის ვადების დაგეგმვა, ცნობების გაცემა, დიპლომების და მათი დანართების მომზადება და მრავალი სხვა. აღნიშნული საქმიანობის სრულყოფილად განხორციელებაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის პროფესორულ, დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტებს, რომლებიც უკვე წლებია დაუღალავად ემსახურებიან უნივერსიტეტს. ხარისხიანი მართვაც სწორედ რომ კვალიფიციურ კადრებს უკავშირდება, რისი დეფიციტიც ამ მიმართულებით ნამდვილად არ გვაქვს.

– როგორია თქვენთვის ხედვა, სტრატეგია თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის განვითარების თვალსაზრისით?

– ტექნოლოგიების შემოტანა, მათთან დაახლოება იქნება ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი სასწავლო დეპარტამენტის განვითარების კუთხით: კერძოდ, ხელოვნური ინტელექტისა და BigData-ს გამოყენება სასწავლო პროცესში; ციფრული პლატფორმების გაუმჯობესება ადმინისტრაციული პროცესების ავტომატიზაციისთვის; ვირტუალური ლაბორატორიების დანერგვა და სხვა. ფორმატიდან გამომდინარე ცვდილობს ყველაზე მნიშვნელოვან და საინტერესო ხედვებზე გესაუბროთ. ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, გვაქვს მთელი რიგი მოსაზრებები და იდეები, რომელთა განხორციელებასაც ეტაპობრივად გეგმავთ.

გარდა ამისა, ჩემი აზრით, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსს უნდა ჰქონდეს მკაფიო პრინციპები, რომლებიც დაეხმარება მას სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში, ადმინისტრაციული პროცესების გამარტივებასა და სტუდენტების აკადემიური გამოცდილების გაძლიერებაში. უფრო კონკრეტულად კი, აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; რიგი დოკუმენტების გაციფრულება; უნივერსიტეტის შიდა პროცესების ოპტიმიზაცია; საგანმანათლებლო გამოწვევებზე სწრა-

ფი რეაგირება (მაგ. პანდემიის მსგავსი კრიზისები) და სწავლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა სტუდენტისათვის.

– სასწავლო დეპარტამენტის წარმატებულად ფუნქციონირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამართულ გუნდურ მუშაობას. ამ მიმართულებითაც ხომ არ გეგმავთ რაიმე სახელებს?

– დავინებ იმით, რომ გუნდი, რომელიც ამ ეტაპზე ახორციელებს სასწავლო დეპარტამენტზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებას, დაკომპლექტებულია ძლიერი პროფესიონალებით, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ ნაკისრი ვალდებულებები და სრული პასუხისმგებლობით ეპყრობიან თითოეულ საკითხს. როდესაც ვსაუბრობ გუნდზე, ვგულისხმობ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ ერთმანეთის მიმართ პატივისცემა, თანადგომა, უყვართ საკუთარი საქმე და, რაც ყველაზე მთავარია, უყვართ უნივერსიტეტი. როგორც უკვე აღვნიშნე, სასწავლო დეპარტამენტი ემსახურება დაახლოებით 26 000-მდე სტუდენტს. რა თქმა უნდა, როდესაც საუბარია მომსახურების განვითარების ამ მასშტაბზე, აუცილებელია მყარი გუნდის და გუნდურად მუშაობის უნარის მქონე თანამშრომლების არსებობა. თუმცა, ასევე, საპირსონედ აუცილებლად მიმაჩნია კადრების დამატება, რათა ის დიდი ტვირთი (საუბარია საქმის მოცულობაზე), რომელიც აწევს თითოეულ თანამშრომელს, გადაწარმოვადგინოთ კადრებზე, რათა უფრო სწრაფი და ეფექტიანი გახდეს დეპარტამენტის საქმიანობა და ამ მიმართულებითაც ვგეგმავ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას.

– სამომავლო გეგმებზე რას გეგმავთ?

ვფიქრობ, ზემოთ ხსენებული გეგმების განხორციელება ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ეფექტიან მართვას, განათლების ხარისხის ამაღლებას და უნივერსიტეტის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას.

## პოლიტოლოგები მე-19 საუკუნის ეროვნული მოძრაობების ერთიან კონტექსტში შესწავლას იწყებენ

მაია ბორაძე

რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსებაში მოხვდა თსუ-ს მეცნიერთა კიდევ ერთი პროექტი – „ანტიმპერიული მოძრაობები და თანამედროვე ეროვნული იდენტობის ფორმირება საქართველოში 1860-იანი წლებიდან 1917 წლამდე“.

პროექტი სამწლიანია და მასში ჩართულნი არიან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულების მეცნიერ-მკვლევარები და დოქტორანტები: **ზვიად აბაშიძე** (ასოციირებული პროფესორი; პროექტის ხელმძღვანელი); **გივი ბერიძე** (პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი), **ნინო მაისურაძე** (პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი), **ნათია ზედგინიძე** (დოქტორანტი). პროექტი ჩართულია, ასევე, ისტორიკოსი, პროფესორი **ოთარ ჯანელიძე**.

პროექტის მიზანია – შეისწავლოს მე-19 საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობები და ერთიან ქრილში განიხილოს მათი გავლენა 1918 წლის მოვლენებზე.

„რეალურად, ყველა ეს მოძრაობა, მათ შორის, სამოციანელთა თუ სოციალ-დემოკრატთა, იყო ანტიიმპერიალისტური მოძრაობა, რომელიც შინაგანად რუსეთის იმპერიის ან გარდაქმნას, ან დამხობას მოითხოვდა, თუმცა გარეგნულად ზოგი აქტიურად გამოხატავდა მიზანს, ზოგიც – შედარებით ზომიერად. ამ პროცესმა წარმოშვა, თანამედროვე გაგებით, ქართველი ერი, როგორც პოლიტიკური ორგანიზმი, რომელსაც აქვს სახელმწიფოებრიობის განცდა, ერი, როგორც კოლექტიური ქმედების ორგანიზმი და არა, უბრალოდ, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი, რომელიც ფლობს ქართულ ენას ან კულტურას.“

დასავლეთში მე-19 საუკუნის ისტორია ისწავლება როგორც „თანამედროვეობის მასობრივად გავრცელების, ერების გააზრების ეტაპი“. საქართველოშიც, ცოტა განსხვავებულად, მაგრამ ზუსტად ეს პროცესი მიმდინარეობდა და ეროვნულ მოძრაობებში აისახებ-



ოდა. ჩვენ ვეცდებით, შევისწავლოთ – რამდენად შესაძლებელია ამ მოძრაობების ერთ კონტექსტში დანახვა. რას ვგულისხმობთ ამაში? მაგალითად, სოციალ-დემოკრატები, თითქოს, ილია ჭავჭავაძესთან და სამოციანელებთან დაპირისპირებულები ჩანან, მაგრამ, ამავ დროს, მათი ლიდერები წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრებიც არიან და საერთო საქმესაც აკეთებენ. ეს საერთო საქმე – ერის იდენტის გააზრება – არის სწორედ მათ შორის გადაკვეთის წერტილი,

რადგან იმაში ორივე მხარე თანხმდება, რომ ვართ ქართველები და გვსურს არა ეთნოგრაფიულ ხალხად დარჩენა, არამედ პოლიტიკურ ორგანიზმად გადაქცევა ავტონომიის ან რაღაც სხვა სახით. 1918 წლის მოვლენები და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება სწორედ ამ მოძრაობების გაგრძელებაა და პროექტის მიზანაც ესაა – დავაკავშიროთ ისინი ერთმანეთთან, ვიპოვოთ შეხების წერტილები და შემდგომ უკვე გავიაზროთ – რამდენადაა ამ მოძრაობების იდეები დღეს შენარჩუნებული – იგივე სახით შემოგვრჩა თუ ტრანსფორმაცია განიცადა, გვინდა დავაკვირდეთ, როგორ განვითარდა საქართველოში ადამიანის მოქალაქედ გარდაქმნის პროცესი“, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში პროექტის ხელმძღვანელმა ზვიად აბაშიძემ.

პროექტის ფარგლებში შესწავლილი იქნება მე-19 საუკუნის პრესის არქივი. შედეგები გამოქვეყნდება მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, ასევე გამოიცემა მონოგრაფია, რომელსაც დაერთვება ინგლისურენოვანი რეზიუმე.



1927 წლიდან

# თბილისის უნივერსიტეტი



## სტუდენტური ფურცელი



**რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდა საქართველოში სანდრო კაპანაძე იტალიაში სწავლის შემდეგ**

სანდრომ ერთი სემესტრი ტრიესტის უნივერსიტეტში გაატარა

6 83.

**თსუ-ს არაბისტი სტუდენტების დებატების კლუბის წარმატებები**

ევროპის უნივერსიტეტებს შორის მიმდინარე არაბულენოვანი დებატების რიგით მეორე ჩემპიონატი

8 83.

**ინტერვიუ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ**

**„ყველაზე მეტად აქ ევროკავშირის სამართალი მომწონს“ – რას ჰყვება სტუდენტი ანა ღურწკაია**

11 83.



# მიმდინარე სამუშაოები და ახალი გადაწყვეტილებები თსუ-ში

ენიკო ხაბუაია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს. თსუ-ს რექტორმა, ჯაბა სამუშიამ, კანცლერთან ლაშა სალინაძესთან და ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის წარმომადგენლებთან ერთად, თსუ-ს მე-10 (მალღივი) და მე-11 (ბიოლოგების) კორპუსებში მიმდინარე და დასრულებული სარემონტო სამუშაოები დაათვალიერა. მე-10 კორპუსში უკვე დასრულდა ცენტრალური კიბის რეაბილიტაცია, სრულად განახლდა მე-8 სართული და მიმდინარე თვის ბოლოს დასრულდება მე-9 სართულის რემონტიც. განახლებულ აუდიტორიებში 1+4 პროგრამის სტუდენტები ისწავლიან. ასევე დასრულდა თსუ-ს მე-11 კორპუსის 3 აუდიტორიის სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**დასასრულს უახლოვდება გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც მიმდინარეობს მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტში. როგორც იცით, აქ დაწყებულია სამუშაოები საერთო საცხოვრებლის მოწყობის მიზნით. პირველი ეტაპის სამუშაოები მალე დასრულდება, რის შემდეგაც დაიწყება შესყიდვის პროცესი შიდა სამუშაოებთან დაკავშირებით.**



„თსუ-ს მე-11 კორპუსში დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ზამთრის არდადეგების პერიოდში მიმდინარეობდა. რამდენიმე აუდიტორია სრულად გარემონტდა. მე-10 (მალღივი) კორპუსის ცენტრალური კიბე დაზიანებული იყო, ამიტომ მოეწყო სრულად ახალი კიბე. ასევე, მალღივი კორპუსის მე-8 სართულის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა. მალე დასრულდება მე-9 სართულზე მიმდინარე სამუშაოებიც. შემდეგ ეტაპზე კვლავ დაიგეგმება სხვა ინფრასტრუქტურული სიახლეები აღნიშნულ კორპუსებში.“


საჭიროებს დამატებით სარეაბილიტაციო სამუშაოებს. გასულ წელს ჩვენ მოვახერხეთ და 6 აუდიტორიის სრული რეაბილიტაცია განვახორციელეთ. მიმდინარე წელსაც გვგეგმავთ მე-5 სასწავლო კორპუსში განვახორციელოთ რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ამ ეტაპზე გამიჭირდება ზუსტად თქმა – თუ რა მოცულობის სამუშაოები უნდა ჩატარდეს. ანალოგიური მიდგომები გვაქვს მე-6 სასწავლო კორპუსთან დაკავშირებით. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ შარშან განვახორციელეთ ამ კორპუსის რიგი სივრცეების რეაბილიტაცია, ასევე განახლდა ფასადი, კიბის უჯრედები... მე-6 კორპუსში დარჩენილია ზედა სართულების სივრცეების

რეაბილიტაცია. ჩვენ დავგეგმავთ – თუ რისი განხორციელება შეიძლება მიმდინარე წლის ზაფხულში და დანარჩენი სამუშაოები 2026 წელსაც გაგრძელდება.

თო საცხოვრებლის მოწყობის მიზნით. პირველი ეტაპის სამუშაოები მალე დასრულდება, რის შემდეგაც დაიწყება შესყიდვის პროცესი შიდა სამუშაოებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ახალი ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობის საკითხს, როგორც იცით – კომპანიასთან ხელშეკრულება გაფორმებულია. კომპანიას ამ ეტაპზე პროექტი აქვს შესათანხმებული ქალაქ თბილისის მერიასთან. დამატებით სიახლეს საუნივერსიტეტო საზოგადოებას აუცილებლად შევატყობინებთ.

უახლოეს მომავალში დავამტკიცებთ შესაბამის ბრძანებას, რომლის თანახმადაც ჩვენ ყველა ფაკულტეტს დავუფინანსებთ სამეცნიერო ჟურნალებს. ამ ჟურნალების დაფინანსების მთავარი მიზანი იქნება, რომ ეს ჟურნალები სკოპუსის ბაზაში მოხვდეს. სწორედ ამ პროცესის მონიტორინგის შედეგად გადავწყვეტთ სამეცნიერო ჟურნალების დაფინანსების გაგრძელების საკითხს“, – აღნიშნა თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **ლაშა სალინაძემ** გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბრისას.



# რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდა საქართველოში სანდრო კაპანაძე იტალიაში სწავლის შემდეგ

შარტხია ბაროშვილი

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტმა სანდრო კაპანაძემ „Erasmus+“-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, იტალიაში, ტრიესტის უნივერსიტეტში გაიარა შემოდგომის სემესტრი.



იგი სწავლობდა „დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების“, ასევე, „ევროპული პოლიტიკის ციფრული, ეკოლოგიური და სოციალური ტრანსფორმაციების“ მიმართულებით. ორივე პროგრამამ მას საშუალება მისცა

– სიღრმისეულად შეესწავლა ეს სფეროები.

ასაუკუნოვანი ხელოვნება და თანამედროვე პოსტ-ინდუსტრიული, განვითარებული გარემო. ეს პროცესი იყო არა მხოლოდ აკადემიური გამოცდილება, არამედ შესაძლებლობა – აღმექვა იტალიისა და ევროპის მრავალფეროვანი კულტურა. ევროკავშირის ერთ-ერთი უდიდესი საჩუქარია ისიც, რომ წევრ ქვეყნებს შორის საზღვრის გადაკვეთა უმარტივესია, რამაც საშუალება მომცა მემოგზაურა მრავალ ქვეყანაში – საფრანგეთში, ესპანეთში, ავსტრიაში, უნგრეთსა და ჩეხეთში. მადლობელი ვარ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, რომელმაც საშუალება მომცა – მქონოდა ეს შესაძლებლობა“, – ამბობს სანდრო კაპანაძე.

„ევროკავშირის სრულად დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამები ახალგაზრდებს ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებში სწავლის საშუალებას გვაძლევს. ეს მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითია იმ უდიდესი ინვესტიციისა, რომელსაც დასავლელი პარტნიორები საქართველოს განვითარებაში დებენ. წარმოუდგენლად სასიამოვნოა, როდესაც ერთ დღეს აკადემიურ დარბაზში განიხილავ თანამედროვე მსოფლიოს გლობალურ გამოწვევებს, მეორე დღეს კი იტალიის მზიან ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე ისტორიულ, ავანგარდულ გარემოში ისვენებ, სადაც ერთმანეთს რეალისტურად ერწყმის ანტიკურ-მუ-

# წინანდლის პრემიის ლაურეატები სამეცნიერო კვლევებს აგრძელებენ

მაია ბორაძე

ოსუს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების კურსდამთავრებულებს ელენე კაცაძეს და ნინო რევაზაშვილს 2024 წლის წინანდლის პრემია მიენიჭა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ელენე კაცაძე ამჟამად სწავლას აგრძელებს დოქტორანტურაში, როჩესტერის უნივერსიტეტში (აშშ), ნინო რევაზაშვილი კი თსუს დოქტორანტი და ფიზიკის დეპარტამენტის ევგენი ხარაძის სახელობის ობსერვატორიული ლაბორატორიული სამუშაოების გამგეა. ელენეც და ნინოც პროფესორ ნანა შათაშვილის აღზრდილები არიან და ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კვლევითი ნაშრომებიც მისი ხელმძღვანელობით განხორციელებს.

მათ პრემია მიენიჭათ ნაშრომისათვის „Jet formation model from accretion discs of electron-ion photon gas“ („ჯეტის ფორმირების მოდელი აკრეციული დისკიდან ელექტრონ-იონურ ფოტონური გაზით“), რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალში – Journal of High Energy Astrophysics (V.43 pp 20-30, 2024, ავტორები: ელენე კაცაძე, ნინო რევაზაშვილი, ნანა შათაშვილი).

როგორც ნინო რევაზაშვილი ჩვენთან საუბარში ამბობს, ეს ნაშრომი პოსტერის სახით იქნა გატანილი 2024 წელს იტალიაში, ტრიესტში „ICTP Fusion Energy School“-ზე და გაიმარჯვა, როგორც საუკეთესო პოსტერმა. სტატი-



აში განხილული ამოცანა ეხება ბოლო დროისათვის აქტუალურ პრობლემას, კერძოდ კი – ასტროფიზიკური ჯეტის ფორმირების ამოცანას. „ჩვენ გამოვიყენეთ ნონასნორული მიდგომა ასტროფიზიკური დისკი-ჯეტის ფორმირების ბელტრამი-ბერნულის დინების მოდელზე დაყრდნობით. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ ამოცანაში განხილული გახლდათ რეალისტური პირობები, კერძოდ კი, გათვალისწინებული იყო ფოტონური გაზის არსებობაც, თუმცა რელატივისტური მიდგომა სრულად არ გათვალისწინებულია“, – გვითხრა ნინომ.

ის ამჯერადაც პროფესორ ნანა შათაშვილის ხელმძღვანელობით მუშაობს ნონასნორული ასტროფიზიკური დისკი ჯეტის ფორმირების ამოცანაზე,

**ნინო სულ მალე დაასრულებს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობას; მანამდე კი ჩართულია სასწავლო პროცესში როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო დონეზე, ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობებსა და სემინარებს, რაც, მისი თქმით, კიდევ მეტ მოტივაციას აძლევს სამომავლო საქმიანობისთვის.**



პლანეტარულში, რომელიც სასწავლოდ საკმაოდ მაღალი დონის სიმულაციებისთვისაა განკუთვნილი – მაგალითად, შესაძლებელია ნებისმიერი დროის მომენტისა და ნებისმიერი დამკვირვებლისთვის დედამიწიდან ლამის ცის სიმულაცია. აგრეთვე გვაქვს ტელესკოპი, რომელიც, თავისი მონაცემებიდან გამომდინარე, სასწავლოა, მაგრამ გარკვეული დაკვირვებების საშუალებასაც იძლევა და სტუდენტს/მოსწავლეს გამოუმუშავებს იმ უნარ-ჩვევებს, რომელიც სამომავლოდ დაკვირვებითი ასტროფიზიკისა და ასტრონომიის დარგში მომუშავე ადამიანს დასჭირდება“, – ამბობს იგი.

ნინო სულ მალე დაასრულებს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობას. მანამდე კი ჩართულია სასწავლო პროცესში როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო დონეზე, ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობებსა და სემინარებს, რაც, მისი თქმით, კიდევ მეტ მოტივაციას აძლევს სამომავლო საქმიანობისთვის.

# გუნდის – „TSU-CactoTech“-ის წარმატება „Uni4Verse“-ს კონკურსზე

ნინო ბაჟალია

ოსუს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის გუნდმა „TSU-CactoTech“, რომლის კაპიტანიც სტუდენტი მარიამ კაპანაძეა, ხოლო მენეჯორი ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) კონკურსის „Uni4Verse“ ფინალურ ეტაპზე მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) ინიციატივით წელს პირველად ჩატარდა საუნივერსიტეტო კონკურსი „Uni4Verse“ ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში. კონკურსის მთავარი თემა იყო მწვანე ეკონომიკა და განახლებადი რესურსები, ხოლო მისი მიზანი – სტუდენტების მიერ მწვანე ეკონომიკის მიმართულებით ინოვაციური იდეების შექმნა, განვითარება და ინოვაციური სტარტაპ-იდეების ჩამოყალიბება.

კონკურსი, საქართველოს მასშტაბით, რამდენიმე ეტაპად ჩატარდა. პირველი ეტაპი გამოწვევების კვლევას დაეთმო. მეორე ეტაპზე უნივერსიტეტებში შიდა კონკურსები გაიმართა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონკურსში მონაწილეობის სურვილი ორმა გუნდმა გამოთქვა. ორივე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრასთან არსებული



**2025 წლის მარტში ტექნოპარკში ჩატარდა ოთხდღიანი ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს 18 უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გუნდმა. ნახევარფინალური ტურის შემდეგ 18 გუნდიდან შეირჩა საუკეთესო 12 გუნდი, მათ შორის მარიამ კაპანაძის „TSU-CactoTech“.**

„მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრის“ ბაზაზე შეიქმნა და მომზადდა:

- გუნდი „TSU-CactoTech“, რომლის წევრები იყვნენ: მარიამ კაპანაძე, ერეკლე ჩხვიძე, გიორგი გრიგოლია და თამაზი ლობჯანიძე.
  - გუნდი „TSU Greengem“, რომლის წევრები იყვნენ: თორნიკე კვაჭანტირაძე, გიორგი ხუციშვილი, ქეთევან ჯაფარიძე, დავით მამულაშვილი.
- ორივე გუნდის ხელმძღვანელი (მენტორი) იყო თსუს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია.

2024 წლის 25 ნოემბერს ჩატარდა შიდასაუნივერსიტეტო შესარჩევი ეტაპი, სადაც ჟიური „GITA“ და „GREDA“-ს წარმომადგენლებმა შეარჩიეს თსუს გამარჯვებული გუნდი: მარიამ კაპანაძის „TSU-CactoTech“, რომელმაც უფლება მოიპოვა უნივერსიტეტის სახელით ეასპარება „Uni4Verse“ საერთო ეროვნულ ეტაპზე.

2025 წლის მარტში ტექნოპარკში ჩატარდა ოთხდღიანი ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს 18 უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გუნდმა. ნახევარფინალური ტურის შემდეგ 18 გუნდიდან შეირჩა საუკეთესო 12 გუნდი, მათ შორის მარიამ კაპანაძის „TSU-CactoTech“.

2025 წლის 31 მარტს ტექნოპარკში, წლის საუკეთესო გუნდის გამოვლენის მიზნით, ჩატარდა ფინალური ტური, სადაც ინოვაციების და ტექნოლოგიების მიმართულებით საქართველოს 12 უნივერსიტეტის რჩეული გუნდები გამოვიდნენ. მარიამ კაპანაძის გუნდმა – „TSU-CactoTech“-მა – წარადგინა სტარტაპი „GreenTus“, რომელიც შეეხებოდა კაქტუსის ფოთლებისაგან ტყავისა და მისი ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიას ეკოლოგიურად გამართული საწარმოო პროცესით (მავნე ნარჩენების შემცირების მიზნით). უნივერსიტეტის გუნდმა კომპეტენტური ჟიურის მაღალი შეფასება მიიღო და სპეციალისტების მოწონებაც დაიმსახურა.



# თსუ-ს არაბისტი სტუდენტების დებატების კლუბის წარმატებები

ჩემპიონატი

შურთხია ბაროშვილი

მომდინარე წლის თებერვალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის უნივერსიტეტებს შორის მიმდინარე არაბულენოვანი დებატების რიგით მეორე ჩემპიონატში, რომელსაც წელს იბნ ხალდუნის უნივერსიტეტი მასპინძლობდა ქ. სტამბოლში.

თსუ-ს გუნდმა (გუნდის წევრები: არჩილ ცარახბაია, სალომე ელბაქიძე, სანდრო ათოშვილი, ქეთევან ხარებავა) AFL კატეგორიაში (მოდებატები, რომელთაც არაბული მშობლიური ენა არ არის) მესამე ადგილი დაიკავა.

ინდივიდუალური შედეგებით, AFL კატეგორიის საუკეთესო მოდებატეთა ათეულში მოხვდა გუნდის ორი წევრი – არჩილ ცარახბაია (მე-5 ადგილი) და სანდრო ათოშვილი (მე-7 ადგილი).

გუნდმა AFL კატეგორიის გარდა შეძლო არაბი მოდებატებით წარმოდგენილი გლაზგოს სტრათკლაიდისა და ვენის უნივერსიტეტების გუნდების დამარცხება.

\*\*\*

„ეს წარმატება უცებ არ მოსულა, მას თავისი რამდენიმეწლიანი ისტორია აქვს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაბულენოვანი დებატების ცენტრი, 2021 წელს, კატარის დებატების ცენტრის პროგრამის – „დებატების ელიტარული აკადემია“ – ფარგლებში



დაფუძნდა და მიზნად დაისახა არაბისტიკის პროგრამის სტუდენტებს შორის დებატების ხელოვნების პოპულარიზაცია, ასევე – მათი მომზადება უშუალოდ კატარის დებატების ცენტრის მიერ ორგანიზებულ არაბულენოვანი დებატების საერთაშორისო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად“, – ამბობს აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორი დარეჯან გარდავაძე. მისივე ინფორმაციით, 2021-2025 წლების პერიოდში თსუ-ს არაბისტ სტუდენტთა გუნდებმა



მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ჩემპიონატებში: 1) არაბულენოვანი დებატების საერთაშორისო ჩემპიონატი, სტამბოლი, 2022 წ. (გუნდის წევრები: მიხეილ გვაძაბია, გიგა გიგაური, არჩილ ცარახბაია); 2) არაბულენოვანი დებატების ევროპის ლიგა, ონლაინ, 2023 წ. (პირველი გუნდის წევრები: მიხეილ გვაძაბია, არჩილ ცარახბაია, გიორგი გოგოხია. მეორე გუნდის წევრები: გიგა გიგაური, რატი რამიშვილი, ომარ ჯაშიაშვილი. იმ წელს მიხეილ გვაძაბია საუკეთესო მოდებატე გახდა დებატების საერთაშორისო

სო ჩემპიონატის იმ მონაწილეთა შორის, რომელთაც არაბული მშობლიური ენა არ არის); 3) არაბულენოვანი დებატების საერთაშორისო ჩემპიონატი, დოჰა, 2024 წ. (გუნდის წევრები: არჩილ ცარახბაია, გიორგი გოგოხია, რატი რამიშვილი, ომარ ჯაშიაშვილი); 4) ევროპის უნივერსიტეტებს შორის მიმდინარე არაბულენოვანი დებატების რიგით მეორე ჩემპიონატი, სტამბოლი, 2025 წ. (გუნდის წევრები: არჩილ ცარახბაია, სალომე ელბაქიძე, სანდრო ათოშვილი, ქეთევან ხარებავა).

„განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია არაბისტი დოქტორანტის ლედი ჯალალონას მიერ გაწეული დიდი ძალისხმევა თსუ-ს პუმანტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტთა დებატების საერთაშორისო ჩემპიონატისთვის მომზადებაში. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში არაბისტ სტუდენტთა დებატების კლუბი არ წყვეტს მუშაობას – გარკვეული პერიოდული იკრიბებიან, მართავენ იმიტირებულ სხდომებს, ეუფლებიან დებატების ხელოვნებას, იუმჯობესებენ სასპეციალიზაციო არაბული ენის საკომუნიკაციო უნარებს... უფროსები და გამოცდილები ეხმარებიან დამწყებ სტუდენტებს, მოტივაციას უმაღლებენ, ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ. ლედისაც და დებატების კლუბის ყველა წევრს სჯერა, რომ მთავარი წარმატება – არაბულენოვანი დებატების ჩემპიონატის პირველი ადგილი წინაა და ეს გამარჯვება არც ისე შორსაა!“, – აღნიშნავს დარეჯან გარდავაძე.

## ერთი სემესტრი ტორუნის სოციალურ და მედიაკულტურის აკადემიაში

მაია ბორაძე

მარიამ მათიაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულებაზე სწავლობს და გასული სემესტრი პოლონეთში, ტორუნის სოციალურ და მედიაკულტურის აკადემიაში გაატარა. ცხადია, მისი შთაბეჭდილებებიც მსგავსია სხვა სტუდენტებისა, რადგან მიიჩნევენ, რომ სტუდენტობის საუკეთესო სემესტრი გაატარა პოლონეთში, სადაც ერთნაირად იყო დატვირთული როგორც სასწავლო, ასევე გასართობი და შემეცნებითი აქტივობებით. მარიამი პოლონეთში გატარებული სემესტრის შესახებ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბრობს:



– მარიამ, ყველაზე მეტად რას გამოყოფდი პოლონური შთაბეჭდილებებიდან?

– ჩემი სტუდენტობის საუკეთესო სემესტრი გავატარე ტორუნში. სანამ წავიდოდი, ერთად მეუფლებოდა სხვადასხვა ემოცია – სიახლის შიში, უცხო გარემოში თავის დამკვიდრება, ჩემთვის უცნობი სწავლის მეთოდები, მაგრამ, საბედნიეროდ, არ გამჭირვებია ადაპტირება. სწავლის პარალელურად ვიმოგზაურე ბერლინში, პრაღაში, ვინოში, ბარსელონასა და ვენაში. ამდენი ქალაქის მონახულება ასეთ მცირე დროის მონაკვეთში ნამდვილად არ მქონდა დაგეგმილი. მგონია, რომ ზოგჯერ სპონტანური მოგზაურობით უფრო დიდ

ფერი მალე ავითვისე. დამხვდა საკმაოდ კარგი და კომფორტული სტუდენტური საცხოვრებელი, სადაც გარდა სტუდენტების ოთახებისა, იყო აუდიტორიებიც.

– რა საგნები აირჩიე სასწავლო პროგრამიდან და საგნების აღიარების პრობლემა ხომ არ გქონდა?

– წინასწარ გავეცანი მიმღები უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული საგნების ჩამონათვალს და ვეცადე თსუ-ს საგნებთან შენარსობრივად მაქსიმალურად მიმსგავსებული საგნები ამერჩია. საბოლოოდ, შევჯერდი შემდეგ ექვს საგანზე: „სატელევიზიო სახელოსნოები“, „მედიის ანალიზის მეთოდები“, „მედია პოლიტიკურ მარკეტინგში“, „პოლიტიკური კომუნიკაცია, რეკლამა ინფორმაციულ საზოგადოებაში“ და „ინგლისური მედია კვლევებისათვის“. რაც შეეხება აღიარებას, პრობლემა არ შემქმნია, მაგრამ სხვა სტუდენტებთან შედარებით თსუ-ს მიერ საგნების აღიარების პროცესი ზედმეტად განეილია დროში, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ჩემმა იქაურმა კურსელებმა პოლონეთიდანვე ონლაინ შეძლეს აღიარება.

– სწავლების რა მეთოდებს იყენებენ პოლონეთში და რა განსხვავება შეამჩნიე სწავლის პროცესში?

– პოლონელი ლექტორები უპირატესობას ანიჭებენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რაც გულისხმობს ახალი მასალის ახსნას ფილმებით, მინი სერი-ალებითა და პრეზენტაციებით. სწავლების მეთოდი არ ყოფილა რადიკალურად განსხვავებული იმისგან, რაც ქართველი სტუდენტებისთვისაა ნაცნობი.

სტანდარტულად გვქონდა ლექცია, რომელზეც ლექტორი ახალ მასალას გვიხსნიდა და სემინარი, რომელზეც ჩვენ ვაბარებდით წინა კვირის თემას. ასევე გვქონდა ქვიზები, პრეზენტაციები და შემაჯამებელი ტესტი. განსხვავება, ალბათ, ის არის, რომ, თუ კონკრეტული თემით დავინტერესდებოდი, ინგლისურ ენაზე ბევრად მეტი სახელმძღვანელო და ონლაინ რესურსი მქონდა, ვიდრე ქართველ სტუდენტებს აქვთ მშობლიურ ენაზე.

– რა მოგწონს ტორუნის აკადემიაში სწავლისას, როგორია იქ ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთობა?

– ტორუნის აკადემიაში თითოეული ლექტორი ინტერესდებოდა იმ ქვეყნებით, რომლებიდანაც გაცვლითი პროგრამით იყვნენ სტუდენტები პოლონეთში ჩასული. მეკითხებოდნენ რით განსხვავდებოდა მათი ქვეყანა ჩემი ქვეყნიდან, ზოგიერთი კი უკვე ნამყოფიც იყო საქართველოში და თავიანთ შთაბეჭდილებებს მიზიარებდა, რაც ძალიან სასიამოვნო იყო. ცდილობდნენ, რომ სასწავლო განრიგი მაქსიმალურად ჩვენზე მორგებული ყოფილიყო და თუ მოგზაურობა გვქონდა დაგეგმილი, ალტერნატიულ დროს გვთავაზობდნენ შესხვედრად. საშუალებას გვაძლევდნენ, რომ თითოეული დავალება ჩვენი ქვეყნის მაგალითზე განგვეხილა და არ გვაქცევდნენ კონკრეტულ ჩარჩოებში, რაც მათი მხრიდან ძალიან დასაფასებელია. პოლონელი ლექტორებისგან ვგრძნობდი მხარდაჭერასა და დადებით უკუკავშირს, რაც კიდევ უფრო მიმალბდა მოტივაციას.



# ღია კარის დღე თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ღია კარის დღის ფარგლებში, თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია ფაკულტეტების დეკანებთან ერთად აბიტურიენტებს შეხვდა.

რექტორმა უნივერსიტეტი მიმდინარე ფუნდამენტურ ცვლილებებზე, სიხლავსა და იმ შესაძლებლობებზე ისაუბრა, რასაც თსუ სთავაზობს მომავალ სტუდენტებს.

ფაკულტეტების დეკანებმა აბიტურიენტებს მიანდოეს ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამებზე სწავლა-სწავლების, საუნივერსიტეტო ცხოვრების, ბაცვლითი პროგრამების, სტიპენდიების, სპორტული და შემოქმედებითი აქტივობების შესახებ.



ახალი პროგრამები

■ ისწავლე ახალ ერთწლიან სამაგისტრო პროგრამაზე!

გახდი მაგისტრი ხელოვნების მენეჯმენტში, შეიძინე ხელოვნების (კულტურის) სფეროში საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერისთვის საჭირო ცოდნა და უნარები.

თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“ პირველ სტუდენტებს ახალ სასწავლო წელს მიიღებს.

■ აიღე მაგისტრის დიპლომი ერთ წელიწადში!

თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ახალი სამაგისტრო პროგრამა „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“ სტუდენტებს ახალი 2025-2026 სასწავლო წლიდან მიიღებს.

მინიჭებული კვალიფიკაცია — „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საჯარო მმართველობაში“ საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს გამოიყენოს შეძენილი ცოდნა ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის მართვაში.

ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს დასავლეთის საგანმანათლებლო ინსტიტუტების მიზნებსა და გამოცდილებას, მათ შორის, ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამებს.

მემორანდუმი შესაძლებლობას იძლევა, რომ უახლოეს მომავალში ამოქმედდეს საბაკალავრო პროგრამა და სტუდენტების პირველი ნაკადიც მიიღოს.

■ „მდგრადი ტრანსფორმაციის მენეჯმენტი“ — ახალი პროგრამა

გერმანულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, თსუ-ს რექტორი ჯაბა სამუშია 20 გერმანული უნივერსიტეტის რექტორებს, პრეზიდენტებსა და ვიცე-რექტორებს შეხვდა.

შეხვედრის ფარგლებში თსუ რექტორმა, ჯაბა სამუშიამ და კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) პრეზიდენტმა კარლ შტოფელმა ორ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

შეთანხმების მიხედვით საფუძველი ჩაეყრება ერთობლივ საბაკალავრო პროგრამას ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით „მდგრადი ტრანსფორმაციის მენეჯმენტი“ (Sustainable transformation management).

■ „საექსპორტო სტრატეგიის მენეჯმენტი“

თუ გასურს მიიღო საექსპორტო სტრატეგიების მართვის შესახებ თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესახებ სიღრმისეული ცოდნა, ისწავლე თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ახალ ერთწლიან სამაგისტრო პროგრამაზე „საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტი“.

ახალი ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა 2025-2026 სასწავლო წელს ამოქმედდება.

■ მაგისტრის ხარისხი ერთ წელიწადში

თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ახალ სასწავლო წელს ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა „ადამიანური რესურსების მართვა“ ამოქმედდება.

60 კრედიტის შესრულების შემდეგ, კურსდამთავრებულებს მიენიჭება ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრის ხარისხი.

# ახალი სასწავლო წლიდან სამწლიან ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტების მიღება იგეგმება

თამარ ღაღინი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების ოთხწლიან პროგრამას, 2025 წლის სასწავლო წლიდან, სამწლიანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ჩაანაცვლებს. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა ქართულენოვანია. 180 კრედიტის დაგროვების შემდეგ კურსდამთავრებულებს მიენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ბიზნესის ადმინისტრირების მრავალმხრივი მიმართულებით. ამ პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტები ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან მართვას შეძლებენ, ექნებათ მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ბიზნესის ადმინისტრირების სამწლიანი პროგრამის მნიშვნელობასა და უპირატესობებზე გვესაუბრება პროგრამის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი, პროფესორი ნუგზარ თოდუა:

„ბოლონის პროცესის ფარგლებში, საბაკალავრო განათლებისთვის არ-

სებობს ორი ძირითადი მოდელი: 240 კრედიტიანი (4-წლიანი პროგრამა) და 180 კრედიტიანი (3-წლიანი პროგრამა). ბოლო ხანებში ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში უფრო ხშირად გამოიყენება 180 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამები, რადგან ეს მოდელი უკეთესად ერგება სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სამწლიანი პროგრამა სტუდენტებს უფრო სწრაფად აძლევს საბაზისო განათლებას და შრომის ბაზარზე გასვლის შესაძლებლობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე დინამიკურ და კონკურენტულ ბიზნესსამყაროში, სადაც ახალგაზრდებს სწრაფი დასაქმება სურთ. ბევრ ქვეყანაში 180-კრედიტიანი ბაკალავრიატის შემდეგ სტუდენტები ხშირად აგრძელებენ სწავლას 1 ან 2-წლიან (60 ან 120 კრედიტიანი) მაგისტრატურის პროგრამებზე. ამიტომ 3 წლიანი მოდელი უფრო მოქნილია და სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს – ბაკალავრიატის შემდეგ სასურველი სპეციალიზაცია უკეთ განსაზღვრონ. შესაბამისად, 180-კრედიტიანი პროგრამები სტუდენტებისათვის წარმოადგენს საშუალებას, მეტი მოქნილობა ჰქონდეთ და ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაცია მოახერხონ. კერძოდ, სწავლის დასრულების შემდეგ მათ შეუძლიათ შრომის ბაზარზე ადრე გასვლა და ბიზნესის დანერგვა მცირე ასაკში. თავის მხრივ, კომპანიები და დამსაქმებლები სულ უფრო მეტად აფასებ-



ნუგზარ თოდუა და რევაზ გველესიანი

სტუდენტებთან საუბრისას აშკარად იკვეთება, რომ მათთვის 180 კრედიტიანი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა უფრო მოქნილია პრაქტიკაზე ორიენტირებულობის გამო

ენ პრაქტიკული უნარების მქონე კადრებს. ამიტომ, სამწლიან პროგრამებში უფრო მეტი ყურადღება ექცევა პრაქტიკულ სწავლებას, სტაჟირებებს და რეალურ ბიზნესქეისებზე მუშაობას“, – აცხადებს პროფესორი ნუგზარ თოდუა, რომელიც თვლის, რომ 180-კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამები სულ უფრო მიმზიდველი ხდება საერთაშორისო სტუდენტებისთვის, რომლებსაც ნაკლებ დროში ხარისხიანი განათლების მიღება სურთ.

სამწლიანი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა ხელს უწყობს გამარტივებულ ტრანსფერს. მაგალითად, სტუდენტები Erasmus+ და სხვა გაცვლითი პროგრამების ფარგლებში უნივერსიტეტების შეცვლას ან სხვა ქვეყნებში სწავლის გაგრძელებას შედარებით მარტივად ახერხებენ.

ბაკალავრის პროგრამის ერთი წლით შემცირება ზოგავს სტუდენტების ფინანსებს და ამცირებს ცხოვრების ხარჯებს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია პროგრამების ფარგლებში, ისე საერთაშორისო სტუდენტებისთვის. ბიზნესის ადმინისტრირების 180-კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა საქართველოში გაძლიერებული კონკურენციის, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და განათ-

ლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გამო პოპულარული გახდა. თსუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების 3-წლიანმა საბაკალავრო პროგრამამ 2024 წელს გაიარა აკრედიტაცია და ახალი სასწავლო წლიდან სტუდენტების მიღებაც იგეგმება.

„საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ანალიზი და მომხმარებელთა ქცევაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ თსუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების 180-კრედიტიანი პროგრამა პოპულარულია. ამას ადასტურებს მიმდინარე წელს აბიტურიენტების მიერ გაკეთებული განაცხადი, ასევე, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების 240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამიდან 180 კრედიტიანზე გადასვლის მსურველთა რაოდენობა. სტუდენტებთან საუბრისას აშკარად იკვეთება, რომ მათთვის 180 კრედიტიანი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა უფრო მოქნილია პრაქტიკაზე ორიენტირებულობის გამო“, – აცხადებს პროფესორი ნუგზარ თოდუა. მისი აზრით, ასეთი პროგრამა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას – შედარებით ნაკლებ დროში ხარისხიანი განათლება მიიღონ და დასაქმების შანსი გაზარდონ.

ბიზნესის ადმინისტრირების სამწლიანი საბაკალავრო პროგრამა

# „ყველაზე მეტად აქ ევროკავშირის სამართალი მომწონს“ – რას ჰყვება სტუდენტი ანა ღურნკაია

ენიკო ჩარკვიანი

ოსუს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის პროგრამის მე-3 კურსის სტუდენტი ანა ღურნკაია ამჟამად რუმინეთში სწავლობს Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. ერთსემესტრიან გამოცდილებას ის იღებს ქალაქ იაშიში, ალექსანდრე კუზას უნივერსიტეტში – რუმინეთში დაარსებულ პირველ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.



— “ —  
**Erasmus Students Network-ის აქტივობები უფრო სახალისოს და მრავალფეროვანს ხდის ამ ქალაქში სწავლას. მე საკმაოდ აქტიურად ვერთვები მათ პროექტებში, რადგან ეს ყოველივე მხმარება აქ ადაპტაციასა და ჩემი შესაძლებლობების უკეთ დანახვას.**  
— ” —

„საზღვარგარეთ სწავლა დიდ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ქალაქში მხოლოდ მე ვარ ქართველი, ორმაგი პასუხისმგებლობაა ჩემი ქვეყნის წარდგენა რუმინეთში“, – ამბობს ანა. სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ის აღნიშნავს, რომ სისტემა სტუდენტებზე მორგებულია და პროფესორებიც მუდამ ხელს უწყობენ. მისი თქმით, ლექციებზე სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს გამოცდილებას და მაგალითებს განიხილავენ, რაც სწავლას უფრო პროდუქტიულს ხდის.

სტუდენტს იმ დამატებით აქტივობებზეც ვკითხეთ, რომელშიც უნივერსიტეტს გარეთაა ჩართული.

„Erasmus Students Network-ის აქტივობები უფრო სახალისოს და მრავალფეროვანს ხდის ამ ქალაქში სწავლას.

მე საკმაოდ აქტიურად ვერთვები მათ პროექტებში, რადგან ეს ყოველივე მხმარება აქ ადაპტაციასა და ჩემი შესაძლებლობების უკეთ დანახვას“, – გვიპასუხა ანამ.

მთელი სემესტრის განმავლობაში ანა 5 სასწავლო კურსს გადის: საფინანსო სამართალი, ევროკავშირის სამართალი, კრიმინოლოგია, სავაჭრო სამართალი, ასევე საკონსტიტუციო სამართალი და პოლიტიკური ინსტიტუტები. როგორც სტუდენტი ჩვენთან საუბარში ამბობს, ეს საგნები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულებია და იმ მიზნით აირჩია, რომ გადაწყვიტოს კარიერულად სამართლის რომელ მიმართულებას გაჰყვებს მომავალში. ამ ეტაპზე მისთვის რჩეულ საგანზეც გვიამბო: „ყველაზე მეტად აქ ევროკავშირის სამართალი მომწონს. არც თუ ისე მარტივი შინაარსის მქონე საგანად დიდ ცოდნას მაძლევს ევროკავშირის სისტემასთან დაკავშირებით და კიდევ უფრო მეტად მიღრმავებს სურვილს – უკეთ შევისწავლო ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს ქეისები, ევროკავშირის დირექტივების გავლენები ქვეყნებზე და ევროპარლამენტის მუშაობის მექანიზმები“.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ ინტერვიუში ანამ ხაზი გაუსვა, რომ გაცვლითი სემესტრის განმავლობაში მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება ახ-

ლად შეძენილმა მეგობრებმა დატოვეს. მათთან ერთად მონაწილეობს მრავალფეროვან „ეროვნულ საღამოებში“ და ქართულ კულტურას თანატოლებს აცნობს: „გაცვლითი პროგრამა, გარდა სწავლებისა, კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან რამეში ეხმარება სტუდენტს – შეიძინოს ძალიან ბევრი მეგობარი. ESN-ის გუნდი ხშირად აწყობს სოციალურ საღამოებს და ზრუნავს იმაზე, რომ დაგვაახლოვოს ერთმანეთთან... შესაბამისად, ყველა აქტივობა მიმართულია ერთმანეთის უკეთ გაცნობისკენ. ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ამ ქალაქიდან წავიღებ, ამ ადამიანების სიყვარულია“.

დაბოლოს, სტუდენტს ვკითხეთ – თუ რა მნიშვნელოვანი გაკვეთილი მიიღო საზღვარგარეთ სწავლისას... მან კი ასე გვიპასუხა: „ძალიან ბევრი რამ მასწავლა გაცვლითმა პროგრამამ: პირველ რიგში – დამოუკიდებლად ცხოვრება, საკუთარ თავზე ზრუნვა, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება და ცხოვრებისეული რისკის განწვევა. ვისწავლე, თუ როგორ არ უნდა იმოქმედოს ნეგატიურად ჩემზე იმ გამომწვევებმა, რომელთა გადალახვაც შესაძლებელია, თუკი ზედმეტ ემოციურ ფონს არ შევიქმნი. მგონია, რომ ბევრად გავიზარდე, როგორც ადამიანი; მეტად დავაფასე დრო და ვისწავლე მისი სწორად გამოყენება“.

## ეთო ბოკელავაძე მეცნიერებით ჯერ კიდევ ბაკალავრიატში სწავლის პერიოდში დაინტერესდა

პროფილში

ჰართხია ბაროშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული ლექტორისა და ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და უახლესი ისტორიის არქივების შემსწავლელი განყოფილების უფროსი სპეციალისტის ეთო ბოკელავაძის სამეცნიერო საქმიანობა საინტერესო და მრავალფეროვანია. ახალგაზრდა მეცნიერი უკვე 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. იგი აქტიურად მუშაობს რელიგიური დიპლომატიის, ეკლესიის ისტორიის, საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის, ბალკანეთის ქრისტიანული კულტურისა და სერბულ-ქართული საეკლესიო ურთიერთობების ისტორიის საკითხებზე და ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონფერენციის არაერთგზის მონაწილეა. პარალელურად, ეთო ბოკელავაძე საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტია, როგორც საგნობრივი (საზოგადოებრივი მეცნიერებები), ისე ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

თა და ფილოლოგთა იმ პლედის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებმაც შექმნეს ეპოქა. ფასდაუდებელია მათ მიერ განეული შრომა როგორც ქვეყნის, ისე მომავალი თაობის წინაშე. თითოეულმა მათგანმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩემს პროფესიულ და პიროვნულ ზრდაში, მინდა გამოვხატო მადლიერება მათ მიმართ. დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში ავირჩიე პედაგოგიკის მიმართულების საგნები, სადაც უდიდესი დახმარება გამიწვია პროფესორმა ქეთევან ჭკუასელმა – დაფუფუნებული პედაგოგის ხელოვნებას და პრაქტიკული გამოცდილებაც მიმეღო ამ კუთხით. მისი მხარდაჭერა და დახმარება გახდა ძლიერი მოტივაციის წყარო, რამაც განაპირობა ჩემი 15 წლიანი საქმიანობა პედაგოგიკის სფეროში. პროფესიული თვალსაზრისით, ჩემს ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ქეთევან პავლიაშვილმა. მის სახელს უკავშირდება ჩემი პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში და საკმაოდ მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოცდილებაც. მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩემს ამჟამინდელ მეცნიერ-ხელმძღვანელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ია ხუბაშვილს, რომლის თანადგომამ მომცა ძალა, დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, არ შემეწყვიტა სამეცნიერო საქმიანობა“, – ამბობს ეთო ბოკელავაძე.



დენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციები, საჯარო ლექციები, გამოცემოდა ჟურნალი სახელწოდებით – „ქრისტიანობის კვლევები“ და სხვ. იგი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებში, აქვეყნებდა სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარულ სტატიებს, რომელთა გათვალისწინებითაც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2010 წელს მიანიჭა „ლია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია ახალგაზრდა მეცნიერთათვის“. იყო, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატიც. 2023 წელს ახალგაზრდა მეცნიერმა ჰარვარდის უნივერსიტეტის დისტანციური კურსი – „სწავლის ლიდერები“ – გაიარა, რომელსაც პროფესორი რიჩარდ ელმორი და მისი გუნდი უძღვებოდა. იგი, როგორც თსუ-ს ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და უახლესი ისტორიის არქივების შემსწავლელი განყოფილების გუნდის წევრი, მონაწილეობს საქართველოს უახლესი ისტორიის საარქივო მასალების და-

მუშავენასა და გამოცემაში, რომელთა ნაწილი საფრანგეთში და შვეიცარიაში გადმოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ახალგაზრდა მეცნიერს თავისუფალი დრო ნაკლებად რჩება, მაგრამ ცდილობს გამოთავისუფლებული დრო საყვარელ ადამიანებს და ჰობს დაუთმოს. „ძალიან მიყვარს მოგზაურობა და მასთან დაკავშირებული თავგადასავლები. მიმაჩნია, რომ იგი ადამიანს არა თუ სამყაროს, არამედ საკუთარი თავის შეცნობასა და პიროვნულ ზრდაში ეხმარება. მიყვარს, აგრეთვე, ფოტოგრაფია. დღეისათვის, ხევსურეთისა და თუშეთის გარდა, საქართველოს ყველა კუთხე მაქვს შემოვლილი, მათ შორის, საზღვრებს მიღმა მყოფი ისტორიული მხარეები: ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი. ვიმოგზაურე ევროპის სამ ქვეყანაში. ვცდილობ, თითოეული კუთხიდან თუ ქვეყნიდან საინტერესო კადრები ჩამოვიტანო. ადრე თავისუფალ დროს მხატვრულ ლიტერატურას ვუთმობდი – ვწერდი რომანებს, ნოველებსა და ლექსებს, თუმცა ამისთვის ახლა დრო პრაქტიკულად არ მრჩება. იმედი მაქვს, ოდესმე კვლავ მივუბრუნდები ამ საქმეს“, – აღნიშნავს ეთო.

ეთო ბოკელავაძის სამომავლო გეგმებიც არანაკლებ საინტერესოა: „სურვილი მაქვს, მომავალშიც შევძლო იმ საქმის კეთება, რასაც ახლა ვუძღვები. მეცნიერება და სტუდენტებთან ურთიერთობა ჩემი საყვარელი საქმიანობაა და იმედი მაქვს, მომავალშიც ასე გავრძელებ. უახლოეს პერსპექტივაში შემიძლია გითხრა, რომ გამოსაქვეყნებლად მზადდება ჩემი მორიგი სტატიები, რომლებსაც მალე იხილავს საზოგადოება. დანარჩენს კი სიურპრიზად შემოვიწინახვ“.



# ელიზა მარქარაშვილის წიგნები პატარებისთვის ქიმიის სამყაროში სამოგზაუროდ

აია ბორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ცოტა ხნის წინ გამოსცა თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგის, ქიმიის დოქტორ ელიზა მარქარაშვილის 3 წიგნი, რომელიც ქიმიის, როგორც მეცნიერების, პოპულარიზაციისთვისაა განკუთვნილი.

ელიზა მარქარაშვილის წიგნები ძირითადად დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვისაა და პატარებს ქიმიის სამყაროში ამოგზაურებს. მასში ზღაპრების სახითაა გადმოცემული ქიმიასთან დაკავშირებული მარტივი მოვლენები და ფაქტები, რომელიც ყოველდღიურობაში გვხვდება. პატარებს შეუძლიათ ზღაპრებში ამოიკითხონ – რატომაა ფუტკარი ქიმიკოსი, რომელი ქსოვილებია მკურნალი, როგორ მზადდება

შოკოლადი და სხვა სახალისო ისტორიები. ზღაპრებს ახლავს გასაფერადებელი რვეული, რომელშიც ქიმიური ხსნარების სახელწოდებები და რეაქციები ზედმიწევნითაა გადმოცემული. გასაფერადებელში გამოყენებული ნახატების ნაწილი შესრულებულია თეკლა და გიორგი გვარამაძეების მიერ.

ქალბატონი ელიზა 16 წიგნის ავტორია, რომლებშიც ის პოპულარული ენით ესაუბრება მკითხველს და ყოფა-ცხოვრებაში ქიმიის, როგორც მეცნიერების, ადგილზე მიუთითებს. ამჯერად ის სახალისო ქიმიას გვთავაზობს ბავშვებისთვის და ამბობს, რომ ეს იდეა გაუჩნდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა სხვადასხვა პროექტის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებთან აწყობდა შეხვედრებს და მათ ქიმიის საყოფაცხოვრებო დონეზე ცოდნის მნიშვნელობაზე ესაუბრებოდა.

გამოცემული წიგნებიდან ყურადღებას იმსახურებს ლექსების კრებული, რომელშიც ელიზა მარქარაშვილი ქიმიური ნივთიერებების პოეზიის ენაზე ამ-



ელიზა მარქარაშვილი

ეტყველებს ცდილობს.

ჩვენი გაზეთის მკითხველმა იცის, რომ ქალბატონი ელიზა მარქარაშვილი წლების განმავლობაში იყო ჩართული „საბავშვო უნივერსიტეტის“ მუშაობაში, როგორც ქიმიის კოორდინატორი და სწორედ ეს გახდა შთაგონების წყარო – მეტად დაინტერესებინა ისინი ქიმიის,



როგორც მეცნიერების, მნიშვნელობით. „ბავშვებთან ურთიერთობამ საკუთარ თავში კიდევ ახალი მისწრაფება აღმომაჩინა – მოსწავლეების მეცნიერებით დაინტერესება. მათთან ძალიან საინტერესოა სალექციო კურსის და სახალისო ექსპერიმენტების ჩატარება. ამ საქმეს ხალისით ვაკეთებ, რადგან ქიმიის გარეშე წარმოუდგენელია ცხოვრება. ყველაფერი ქიმიანია. ჩვენს ორგანიზმშიც ქიმიური პროცესი მიმდინარეობს, რომელსაც ფერმენტები წარმართავენ. სწორედ ასეთ საკითხებში ვაცნობიერებ მოსწავლეებს და ვცდილობ შევაყვარო ქიმია“, – ამბობს იგი.

## პირველად თსუ-ს ისტორიაში ინტელექტუალური ლიტერატურული თამაში – „თსუ-ს თარო“ გაიმართა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის განათლების დეპარტამენტის ორგანიზებით, 5 აპრილს, პროექტი „თსუ-ს თარო“ ჩატარდა.

აღნიშნული პროექტის სტუდენტობა საკუთარი ლიტერატურული ცოდნა, ლოგიკა და აზროვნების სისწრაფე ინტელექტუალურ არენაზე მოსინჯავს. თამაში ორ დღივით გაიმართა.

პროექტში გამომწინააღმდეგებელი გუნდები, რომელთაც საჩუქრად გადაეცათ სერტიფიკატები და ფულადი პრიზები: (პრაქილია — 400 ლარი; სპაზრო ეკონომიკა ანუ ლოკოკინა ამნეკანაზა – 350 ლარი).

თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა გადმოგვითხრობს უხდის ყველა სტუდენტს მონაწილეობისთვის და ულოცავს გამარჯვებულს!



# თსუ-ში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის რეფორმა იწყება

თამარ ღაღინაძე

თსუ-ს პერსონალის მართვის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი ჰყავს – **გოჩა ჯანელიძე**, გამოცდილი HR მენეჯერი, რომლის ხედვაც გამორჩეულად სისტემური და პროგრესულია. ადამიანური რესურსების სფეროში მას 15 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. მუშაობდა როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში, მათ შორის ისეთ ორგანიზაციებში, როგორცაა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობა, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, თსუ და სხვ. მისი გამოცდილება მოიცავს HR სისტემების დანერგვას, სტრუქტურული რეფორმების მართვას და ადამიანების პოტენციალის სრულად რეალიზაციის ხელშეწყობას. გოჩა ჯანელიძე ახალ პოზიციაზე ოფიციალურად დანიშნამდე ფიქრობდა პერსონალის მართვის დეპარტამენტის საქმიანობის უფრო ეფექტიანად წარმართვის გზებსა და საშუალებებზე. მისი ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იწყება ადამიანური რესურსების მართვის სისტემის რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზაციის ციფრულ ტრანსფორმაციასა და თანამედროვე HR სტანდარტების დანერგვას. გოჩა ჯანელიძემ თსუ-ს პერსონალის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელად დანიშნვის წინ წარმოადგინა თსუ-ს HR სისტემის მოდერნიზაციის გეგმა, რომლის ერთი თვალის გადავლენითაც ჩანს ახალი ხელმძღვანელის დამოკიდებულება, მაღალი კომპეტენცია და დიდი პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის წინაშე. თსუ-ს პერსონალის მართვის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი **გოჩა ჯანელიძე** გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ ესაუბრა:

– როგორია თქვენი ხედვა თანამედროვე HR სისტემის საჭიროებაზე უნივერსიტეტში?

– დღესდღეობით უნივერსიტეტი დგას ახალ ეტაპზე, სადაც ადამიანური კაპიტალის ეფექტიანი მართვა მნიშვნელოვანია როგორც ადმინისტრაციული გა-



მართულობისთვის, ასევე აკადემიური გარემოს განვითარებისთვის. ჩვენი მიზანია, HR პროცესები გადავიტანოთ სრულად ციფრულ სისტემაში – გავამარტივოთ, გავამჭვირვალოთ და ვაქციოთ თანამშრომლებისთვის სანდო და მოქნილ ინსტრუმენტად. ეს იქნება არა მხოლოდ ტექნოლოგიური, არამედ კულტურული ცვლილება. ამის მისაღწევად ჩვენ ვგეგმავთ სმარტ ტექნოლოგიების ინტეგრაციას, რაც შეამცირებს დროსა და რესურსების დანახარჯებს, გააუმჯობესებს მონაცემთა მართვის სისტემებს და გაამარტივებს შიდა კომუნიკაციას. ამ სტრატეგიული გეგმების განხორციელება ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის ზრდას და თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება როგორც უნივერსიტეტის განვითარებაზე, ასევე თითოეული თანამშრომლის კარიერულ წინსვლაზე. აქვე შეგახსენებთ, რომ თითოეულ დასაქმებულს ჩემს დეპარტამენტში უნევს 700-800 დასაქმებულის მართვა, როცა კვლევები და სტანდარტები გვიჩვენებს, რომ ერთი „ეიჩარი“ უნდა ემსახურებოდეს 150-დან 200-მდე დასაქმებულს. მართალია, ჩვენი დეპარტამენტის თანამშრომლები მაინც დიდი დონის პროფესიონალები არიან და კომპეტენციაც უზაღო აქვთ, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ამ დატვირთვით მუშაობა თითქმის შეუძლებელია.

– რაზე აკეთებთ აქცენტს ახალი სისტემის შექმნისას?

— “**ამ სტრატეგიული გეგმების განხორციელება ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის ზრდას და თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება როგორც უნივერსიტეტის განვითარებაზე, ასევე თითოეული თანამშრომლის კარიერულ წინსვლაზე.**

– მთავარი აქცენტი კეთდება თანამშრომელთა სრული ციკლის მენეჯმენტზე: დასაქმებიდან მათი პროფესიული განვითარების ჩათვლით. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა ანალიტიკას, რაც ორგანიზაციას აძლევს სტრატეგიული გადაწყვეტილებების საფუძველს. ახალი სისტემა ავტომატიზირებს ხდის შერჩევას პროცესს, შესრულების შეფასებას, შედეგების მართვას, ანაზღაურებას და სხვა. ამის პარალელურად, აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის დაცულობა და შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან (მაგ., ISO/IEC 27001, GDPR). დღეს პროცესების ავტომატიზაციის არარსებობა და მონაცემების არაზუსტი აღრიცხვა რთულ ანალიტიკას და რეპორტირებს იწვევს. აქედან გამომდინარე, მოკვლევა დავიწყეთ – თუ ვინ მუშაობს ან პროგრამულად ამზადებს თანამედროვე HR სისტემებს. რამდენიმე არჩევანი გვაქვს და გადაწყვეტილებას მაღელ მივიღებთ. ასევე ვაპირებთ ელექტრონული არქივის შექმნას თსუ-ს კანცელარიასთან კოლაბორაციით. აქედან გამომდინარე, ამჟამინდელი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა საჭიროებს მნიშვნელოვან განახლებას, რათა უკეთ მოერგოს თანამედროვე გამოწვევებს.

– როგორ ხედავთ თანამშრომელთა გამოცდილების გაუმჯობესებას ამ სისტემის ფარგლებში?

– სისტემა უნდა იყოს მომხმარებელზე ორიენტირებული. თანამშრომლებს

ექნებათ საკუთარი პროფილი, სადაც შეძლებენ პირადი ინფორმაციის განახლებას, შევებულებების ან ბიულეტენების მოთხოვნის გაგზავნას, შეფასებების ნახვას და სხვა. ამ ყველაფერს დაემატება მოხილვით აპლიკაცია, რაც მოქნილობას კიდევ უფრო გაზრდის. თანამშრომელი აღარ იქნება დამოკიდებული ფიზიკურ ფორმებზე ან საბუთებზე – პროცესები გახდება მარტივი და ციფრული. პერსონალის მართვის დეპარტამენტის თანამშრომლების საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე თანამშრომელთა კეთილდღეობა და მათი სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, რაც საქმიანობის პროდუქტიულობას გაზრდის. ამ მიმართულებით დაგეგმილია: ოფისების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, თანამშრომელთა ჩართულობის გაზრდა და ორგანიზაციული კულტურის გაძლიერება, რათა მათ თავი იგრილონ უნივერსიტეტის განუყოფელ ნაწილად. დაგეგმილია სხვა აქტივობებიც, რომელიც ხელს შეუწყობს გუნდურობასა და თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებას. როგორც ზემოთ აღვნიშნე, HR სისტემის მოდერნიზაციის გეგმა ითვალისწინებს რეკრუტირებისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესებას. აუცილებელია პერსონალის შერჩევისა და შეფასების პროცედურების დახვეწა. ამიტომ, სამომავლოდ ვაპირებთ პერსონალის შეფასების და მოტივაციის ახალი სისტემის დანერგვას, რომელიც საშუალებას მისცემს თანამშრომლებს უფრო მკაფიოდ დაინახონ მათი კარიერული პერსპექტივები. რეკრუტირების სისტემის გაუმჯობესება მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას მოგვცემს, რაც თანამშრომელთა განვითარების პროცესს უფრო გამჭვირვალესა და სამართლიანს გახდის. პერსონალის მართვის დეპარტამენტის თანამშრომლების საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე შიდა პროცესების ოპტიმიზაცია და სამართლებრივი ნორმების დაცვა. ახალი HR სისტემის დანერგვა მოხდება ეტაპობრივად, გარკვეული თანამდევრობით. სრულ დასრულებას და მონიტორინგს, სავარაუდოდ, ერთი წელი მაინც დასჭირდება.

## წინო სამსონიას ახალი მონოგრაფია – „შუამდინარული და ქართველოლოგიური ძიებანი“

ჰურთხია ბაროშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასირიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის წინო სამსონიას ახალი მონოგრაფია – „შუამდინარული და ქართველოლოგიური ძიებანი“, რომელიც ლურსმულ ტექსტებში დამონშემებული მოდელებისა და შესაბამისი იკონოგრაფიის კომპლექსურ კვლევას წარმოადგენს, უახლოეს მომავალში გამოსცემს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

წინის პირველი ნაწილი ეთმობა ლურსმული ტექსტებისა და ფიგურების ურთიერთმიმართების საკითხის განხილვას, წარმოდგენილია იკონოგრაფიის ასპექტები – როგორც ტექსტებისა და ფიგურების ზუსტი თანხვედრა, ისე ქრონოლოგიური აცდენები. წინი ქართველოლოგიურ-შუამდინარული კონტაქტების მომავალი კვლევებისთვის ერთგვარ გზამკვლევადაა მოიაზრება.

„მონოგრაფიაში ჩვენი კვლევა შუამდინარულ ლურსმულ ტექსტებსა და იკონოგრაფიაზე კომპლექსურ დაკვირვებას ეფუძნება, რაც ძვ. წ. III ათასწლეულს სცდება და ძველადმოსავლური პერი-

ოდის საერთო სურათს წარმოგვიდგენს. დღეს უკვე მეცნიერებაში სამხრეთ კავკასია და მათ შორის საქართველოს ტერიტორიაც წინა აზიის კულტურულ ნაწილად მიიჩნევა. წინა აზიის განხილული საკითხები ძველი ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის კულტურული ურთიერთობების კიდევ ერთი ნათელი დასტური უნდა იყოს. ისტორიული საქართველოს ტერიტორიისა და სამხრეთ კავკასიის არქეტიპების შუამდინარული ცივილიზაციების კონტექსტში კვლევა საქართველოს უძველეს ისტორიას ახალი კუთხით გააშუქებს“, – ამბობს წინო სამსონია.

ენათმეცნიერული წინააღმდეგობების მიუხედავად, ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ერთმანეთის მსგავსია შუმერულსა და ქართულში, თავმოყრილია წინო სამსონიას ნაშრომში, რაც ერთიანად იქნება ხელმისაწვდომი. ეს სასარგებლო უნდა იყოს იმ მკვლევართათვის, რომლებიც მომიჯნავე დარგებში მუშაობენ.

„ჩვენი დარგი – ასირიოლოგია“ – დღემდე მსოფლიოს სულ რამდენიმე ნაშრომს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს. ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს დაარსებიდანვე.



როდესაც ივანე ჯავახიშვილი თსუ-ს დასაარსებლად კადრებს ამზადებდა, მიხაკო წერეთელი ასირიოლოგიის შესასწავლად ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში მიავლინა. მიხაკო წერეთელი 1919 წლის ბოლოდან საქართველოს ანექსიამდე (1921 წ.) თბილისის უნივერსიტეტში „ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის“ კათედრას უძღვებოდა. ასირიოლოგიის დაარსება თბილისის უნივერსიტეტში იმთავითვე საქართველოს ისტორიის ფუნდამენტურ შესწავლას გულისხმობდა (ცნობილია, რომ სწორედ ასურულ და ურარულ ტექსტებშია პირველი წერილობითი ცნობები ქართველური ტომებისა და გაერთიანებების შესახებ). მიუხედავად

იმისა, რომ 1921 წელს თსუ-ში დარგი დაიხურა, ასირიოლოგიის ტრადიცია მაინც გააგრძელეს ქართველმა მეცნიერებმა: თამაზ გამყრელიძემ, გიორგი მელიქიშვილმა, გიორგი წერეთელმა და მისმა მოწაფემ – გრიგოლ გიორგაძემ, რომელმაც 1991 წელს (აკად. ოთარ ჯაფარიძის რექტორობის დროს) უნივერსიტეტში დარგი აღადგინა. ჩვენი მისიაა – ასირიოლოგია, მსოფლიო მეცნიერების ეს ელიტარული დარგი, ჩვენი ქვეყნის ძველი ისტორიის ფუნდამენტურად შესასწავლადაც გამოვიყენოთ და გავცნოთ საერთაშორისო მეცნიერებას. ეს იყო ჩემი მასწავლებლის, აკადემიკოს გრიგოლ გიორგაძის სურვილი. გრიგოლ გიორგაძეს ეკუთვნის საერთაშორისო ნაშრომი „ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი“ (1999 წ.), რომელსაც მოკრძალებით ვუძღვნი ჩემს ნაშრომს“, – აღნიშნავს წინო სამსონია.

წინის რედაქტორები არიან: პროფესორები – **ვახტანგ ლიჩელი** და **ირინე ტატიშვილი**; რეცენზენტები – **ზურაბ ბარათაშვილი** და **გვანცა ვაჩაძე**. რამდენიმე სტატია, რომლებშიც წინამდებარე ნაშრომში განხილული საკითხებია, გათქვეყნებულია ინგლისურ ენაზე.



# უნივერსიტეტის ოქროს მედლით დაჯილდოებული მეცნიერები

## თამარ დალიანი

უნივერსიტეტის წინაშე შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის უნივერსიტეტის ოქროს მედლით დაჯილდოვდნენ აკადემიკოსი **მიხეილ ჯიბუტი** და პროფესორი **ირაკლი კოვზანაძე**. დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მიიღო.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ ჯიბუტი 150-ზე მეტი ნაშრომის, მათ შორის 4 მონოგრაფიის ავტორია. ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთობას 1980 წლიდან იწყებს, როცა თსუ-ს ასპირანტი ხდება, სულ მალე კი უკვე პროფესორის რანგში გვევლინება (1991-1994 წ.წ.) და დღემდე ღირსეულად ატარებს სამაგალითო უნივერსიტეტელის სახელს. მიუხედავად მაღალი თანამდებობრივი პოზიციებისა (საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში; ეკონომიკური რეფორმების შტაბის ხელმძღვანელის მოადგილე; საქართველოს მე-3 და მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი, საქართველოს ეკონომიკის მინისტრი; გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი; ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე და სხვა.), იგი ყოველთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ერთგული ქომაგი და მხარდამჭერია, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ფაკულტეტის განვითარების საქმეში.

„უნივერსიტეტის ოქროს მედლით დაჯილდოებისას პირველი რეაქცია სიხარულის განცდა იყო, რომელიც პირველად ოჯახის წევრებს გაუზიარე. ამას მოჰყვა სამუდამო მადლიერების გრძნობა ამ გადაწყვეტილების მიმღებთა მიმართ – ვგულისხმობ უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ გიორგი ლაღანიძეს და რექტორს, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას. ჩემთვის ამ ჯილდოს მნიშვნელო-



გიორგი ლაღანიძე და მიხეილ ჯიბუტი



ირაკლი კოვზანაძე

**მიხეილ ჯიბუტი:**  
უნივერსიტეტის ოქროს მედლით დაჯილდოებისას პირველი რეაქცია სიხარულის განცდა იყო, რომელიც პირველად ოჯახის წევრებს გაუზიარე. ამას მოჰყვა სამუდამო მადლიერების გრძნობა ამ გადაწყვეტილების მიმღებთა მიმართ.

**ირაკლი კოვზანაძე:**  
უნივერსიტეტი ჩემთვის ნამდვილად „დედა უნივერსიტეტი“ა. ძალიან მიყვარს საუნივერსიტეტო სივრცე და ამიტომ მასთან დაკავშირებულ თითოეულ ჩემს ნაბიჯს შესაბამისი ენერჯით და სულისკვეთებით ვუდგები.

ბა ერთი ცხოვრებისეული შემთხვევით გავიარე... ჩემი ინიციატივით ორჯერ მოვანყვე ბატონ რეზო ჩხეიძის შეხვედრა უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრების შემდეგ მან გულდაწყვეტით მითხრა, რომ მის ჯილდოთა ჩამონათვალს ძალიან აკლდა უნივერსიტეტის მედლი. ეს ამბავი აკადემიკოს ლადო პაპავას გადავეცი, უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს, რომელმაც დიდ რეჟისორს სურვილი აუხრულა. მწამს, რომ ყველა ადამიანი სიცოცხლეში აგებს თავისი ცხოვრების ვირტუალურ, ტრიუმფალურ თაღს. ყველა თაღს, კამარას დასრულებისათვის ჩამკეტი ქვა სჭირდება. აი, ამ ქვის მნიშვნელობა აქვს ჩემთვის ამ მედალს. პატივისცემით ვიხსენებ ამ მედლის მფლობელებს და ვულოცავ მის მიღებას ახალ ბენეფიციარს, პროფესორ ირაკლი კოვზანაძეს. ამ ჯილდოს აღვიქვამ კარგი ტენდენციის გამოხატულებად მეცნიერებისა და სასწავლო პროცესის

სინთეზის გაღრმავებისათვის, იმ ღრმა ჭრილობების მოსაშუშებლად, რომელიც უნივერსიტეტის კოლექტივმა გადაიტანა „ნაციონალური მოძრაობის“ განათლების რეფორმის დროს. კონტექსტი რთულია, მაგრამ უნივერსიტეტის კოლექტივი, დარწმუნებული ვარ, შეძლებს გამოწვევების ღირსეულად გამკლავებას“, – განაცხადა აკადემიკოსმა მიხეილ ჯიბუტმა. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი კოვზანაძე 1988 წლიდან ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2003 წლიდან კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსებისა და კრედიტის კათედრის პროფესორია. ის 1 სახელმძღვანელო და 7 მონოგრაფიის ავტორია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ასევე, 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის მათემატიკა-სა და ეკონომიკაში. პროფესორი ირაკლი კოვზანაძე მე-6, მე-9 და მე-10 მოწვევის

პარლამენტის წევრი და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

უნივერსიტეტის ოქროს მედლით დაჯილდოების შემდეგ მან დიდი მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაციას და ყველა იმ პროფესორს, ვინც ჩართული იყო ამ გადაწყვეტილების მიღებაში.

„ყველა უნივერსიტეტელისათვის და მათ შორის ჩემთვისაც, ნებისმიერი ჯილდო, რომელიც მიღებულია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან, არის ყოველთვის მნიშვნელოვანი და დასაფასებელი, განსაკუთრებით კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოქროს მედალი.“

ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი უნივერსიტეტში გავატარე, ამიტომ ეს არ არის უბრალოდ ადგილი, სადაც მხოლოდ ვმუშაობ. ჩემი ურთიერთობა უნივერსიტეტთან იწყება 1979 წლიდან თავდაპირველად სტუდენტის, ხოლო შემდგომ ასპირანტის, მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორისა და კათედრის გამგის რანგში. სწორედ ამიტომ, უნივერსიტეტი ჩემთვის ნამდვილად „დედა უნივერსიტეტი“ა. ძალიან მიყვარს საუნივერსიტეტო სივრცე და ამიტომ მასთან დაკავშირებულ თითოეულ ჩემს ნაბიჯს შესაბამისი ენერჯით და სულისკვეთებით ვუდგები. ეს ჯილდო ჩემთვის ახალი სტიმულია, რათა მომავალში კიდევ უფრო მეტი წვლილი შევიტანო როგორც ჩვენი ფაკულტეტის, ასევე, უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობაში“, – განაცხადა პროფესორმა ირაკლი კოვზანაძემ.

საპატიო ჯილდოები მეცნიერებს თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ საზეიმო ვითარებაში გადასცა ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის – „ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირში: შედეგები და პერსპექტივები“ – ფარგლებში.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია ულოცავს უნივერსიტეტის ოქროს მედლით დაჯილდოებულ მეცნიერებს დამსახურებულ ჯილდოს და მათ წარმატებებს უსურვებს.


# „განსაკუთრებული და იშვიათი შემთხვევები ქირურგიაში“ – პროფესორ მერაბ კილაძის მონოგრაფია



## ნინო ჩარაპიანი

„განსაკუთრებული და იშვიათი შემთხვევები ქირურგიაში“ – ასე ეწოდება თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის პროფესორის მერაბ კილაძის ავტორობით გამოცემულ მონოგრაფიას, რომელშიც 115 არასტანდარტული შემთხვევაა შესწავლილი ქირურგიული პრაქტიკიდან. მერაბ კილაძე ამჟამად თსუ-ს კლინიკური ქირურგიის კათედრის გამგეა და ამერიკულ ჰოსპიტალში ქირურგიის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბრისას ავტორმა ხაზი გაუსვა, რომ წიგნის მიზანია – დაეხმაროს ქირურგსა და პაციენტს, რომ ანალოგიურ სიტუაციაში იხელმძღვანელოს უკვე არსებული გამოცდილებით და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. „40 წლიანი ქირურგიული პრაქტიკის შემდეგ გადაწყვეტილება, რომ შემეგროვებინა გამორჩეული სამედიცინო ქეისები და გამოემეცა წიგნი მათ შესახებ. ნაშრომში აღწერილი შემთხვევების თითქმის ნახევარი არის უშუალოდ ჩემი პრაქტიკიდან, ხოლო დანარჩენი ჩემი კოლეგების გამოცდილება აღწერილი



13 სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის, აშშ-დან, გერმანიიდან, იტალიიდან, ავსტრიიდან, ისაელიდან და დიდი ბრიტანეთიდან. მონოგრაფიის თითოეული თანავტორი კარგად ცნობილი ექსპერტი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტია

ქირურგიის სფეროში“, – აღნიშნავს მერაბ კილაძე.

მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომში თავმოყრილი ყველა შემთხვევა ილუსტრირებულია და ის ფაქტობრივი მასალის სახით მოკლედ და გასაგებადაა წარმოდგენილი. ავტორის თქმით, წიგნი მკითხველი ვერ შეხვედბა ზედმეტ ტექსტს, ცხრილებს, პროტოკოლებსა და განხილვებს. წიგნის ასეთი მახასიათებელი მისი უფრო პრაქტიკულად და ეფექტურად გამოყენების საშუალებას იძლევა.

წიგნი დადებითადაა შეფასებული რეცენზიებშიც. ზოგადი ქირურგიის „იტალიური ქირურგიის ანალების“ ჟურნალის რედაქტორი ნიკოლა პიკარდი წერს: „ჩვენ მადლიერნი უნდა ვიყოთ მერაბ კილაძის მიმართ, რადგან მან უნიკალური შემთხვევების დოკუმენტაციის შრომატევადი საქმე იტვირთა და გვაჩვენა ქართული ქირურგიის პანორამა – გეოგრაფიულად ევროპის გულიდან დამორებული, მაგრამ მთლიანად თანხვედრაში ქირურგიის გლობალურ დარგთან... ავტორი გვაჩვენებს ქირურგისა და პაციენტის ურთიერთობის ადამიანურ ასპექტს და იმ მოულოდნელ კლინიკურ სიტუაციებს, რომლებიც დიაგნოსტიკურ

უნარს, კრიტიკულ აზროვნებას, პასუხისმგებლობას, ტექნიკურ ოსტატობასა და კრეატიულობას მოითხოვს“. ლონდონის სამედიცინო კოლეჯის პრეზიდენტის დესპანის, პროფესორი ნადი ჰაკინი კი მერაბ კილაძეს ასე ახასიათებს: „იგი არა მხოლოდ თავისი სფეროს გამორჩეული სპეციალისტია, არამედ შესანიშნავადაც ავრცელებს ცოდნას საზოგადოებაში. წიგნი განხილულია გულის ჭრილობა, ეზოფაგექტომია, დიაფრაგმის თიაქარი, წვრილი ნაწლავის სისხლდენა, ლვიძლის ჰემანგიომა, სპლენექტომია, პეპტიური წყლულები და სხვადასხვა პათოლოგიის პერკუტანული მართვის შემთხვევები.“

პროფესორ მერაბ კილაძის წიგნის – „განსაკუთრებული და იშვიათი შემთხვევები ქირურგიაში“ – პრეზენტაცია 2022 წლის 13 ოქტომბერს გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ღონისძიებაში ქართველ ქირურგებთან ერთად მონაწილეობა მიიღო 10 ქვეყნის წამყვანმა უცხოელმა სპეციალისტებმაც.

წიგნზე ავტორი 6-8 თვის განმავლობაში მუშაობდა. იგი განკუთვნილია სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, რეზიდენტებისთვის, ახალგაზრდა და გამოცდილი ქირურგებისთვის.



# თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ახალი პროექტის განხორციელება იწყება

მანია ტორაძე

„საქართველოს საერთაშორისო მიგრაციული პროცესების სოციალურ-ეკონომიკური და გეოგრაფიული ასპექტები და მათი გავლენა განვითარებაზე“ – ასე ჰქვია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსებით უზრუნველყოფილ გრანტს, რომელსაც ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი **გიორგი გოგსაძე** (გავლილი აქვს სტაჟირება ვაშინგტონის, მერილენდისა და რათგერსის (ნიუ ჯერსი) უნივერსიტეტებში. ის რამდენიმე წელი მუშაობდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კავკასიის ბიუროში. გამოქვეყნებული აქვს სახელმძღვანელო „მოსახლეობის გეოგრაფია“), ხოლო მკვლევრები არიან: ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი **ია იაშვილი** (გავლილი აქვს სტაჟირება მონტანას უნივერსიტეტში და რათგერსის უნივერსიტეტში. მისი რედაქტორობით, 2021 წ. გამოიცა სახელმძღვანელო „საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია“) და ორი ახალგაზრდა მეცნიერი: გეოგრაფიის დოქტორი **ტატიანა სიჭინავა** (2023 წელს თსუ-ში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „შრომით მიგრანტთა საქართველოში ინტეგრაციის და განსახლების თავიებურებები“. ამჟამად დასაქმებულია მკვლევრის პოზიციაზე მიგრაციის და დიასპორის კვლევით ცენტრში, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში. ასევე არის ასისტენტ-მკვლევარი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტში) და **თამარ ოქრუაშვილი** (2020 წ. ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსიტეტში მოიპოვა ბაკალავრის ხარისხი, ხოლო 2023 წ. სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხი გლობალური სოციალური სწავლებების მიმართულებით. 2022 წლიდან მუშაობს



გიორგი გოგსაძე

პირველად საქართველოში შესწავლილი იქნება იმიგრაციის და ემიგრაციის აქტუალური საკითხები, ასევე მათი გავლენა ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე.

სტენფორდის უნივერსიტეტის ჰუვერის ინსტიტუტში, სადაც მონაწილეობს ბიოგრაფიულ ისტორიულ კვლევაში ერთ-ერთი მკვლევრის სტატუსით). პროექტში უცხოელი კონსულტანტის სტატუსით ჩართული იქნება კორვინუსის უნივერსიტეტის (ბუდაპეშტი, უნგრეთი) პროფესორი ატილა მელეგი, რომელიც ევროპაში მიგრაციის ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტია. საქართველოში საერთაშორისო მიგრაციის (იმიგრაცია და ემიგრაცია) კომპლექსური მეცნიერული შესწავლა ჯერ არ ჩატარებულა. პროექტი შეავსებს ამ ხარვეზს და პირველად საქართველოში შესწავლილი იქნება იმიგრაციის და

ემიგრაციის აქტუალური საკითხები, ასევე მათი გავლენა ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე. პროექტი სამწლიანია. მისი მიზანია – წარმოაჩინოს თანამედროვე საქართველოში მიგრაციული პროცესების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ-დემოგრაფიულ, სამართლებრივ-პოლიტიკურ, გეოგრაფიულ და კულტურულ გარემოზე. მეცნიერები ამ პერიოდში შეისწავლიან ემიგრაციული და იმიგრაციული ნაკადების დინამიკასა და გეოგრაფიას, ჩაატარებენ თვისებრივ სოციოლოგიურ კვლევას როგორც ემიგრაციაში მყოფ საქართველოში მოქალაქეებთან, ასევე საქართველოში მცხოვრებ იმიგრანტებთან; მოამზადებენ სტატისტიკურ ბაზას, შექმნიან კვლევის ამოცანების შესაბამის სტატისტიკურ მოდელებს, მოახდენენ უცხოეთში მყოფ ქართველ ქალთა შრომითი მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის და დანაკარგის იდენტიფიცირებას, ასევე გამოკვლევენ საქართველოში დარჩენილი სრულწლოვანი შეილებების დამოკიდებულებას მშობლ(ებ)ის შრომითი მიგრაციის მიმართ და სხვ.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია, ასევე, კვლევის შედეგების საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენა, მიგრაციის საკითხებზე მრავალი მაგიდის ორგანიზება და სამეცნიერო პროდუქციის (სტატიები, მონოგრაფია) შექმნა ქართულ და ინგლისურ ენებზე. „ამით, ერთი მხრივ, მივიღებთ ქართულენოვან სამეცნიერო პროდუქტს, რაც წვლილს შეიტანს ეროვნული მეცნიერების განვითარებაში, ხოლო მეორე მხრივ, ინგლისურენოვანი სტატიები ხელს შეუწყობს ქართული აკადემიის ავტორიტეტის ზრდას საერთაშორისო დონეზე – მეტი უცხოელისთვის გახდება შესაძლებელი საქართველოს რეალობის გაცნობა. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ პროექტის შედეგად შეიქმნება ახალი სასწავლო კურსები და განახლდება არსებული კურსები, რაც ინტელექტუალური საკუთრების შექმნის კიდევ ერთ საშუალებას. ჩვენი ღრმა რწმენით, კვლევის შედეგები ღირებული იქნება იმ სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ მიგრაციის საკითხების პოლიტიკის შემუშავებაში. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მიგრაცია ევროკავშირისთვის საკმაოდ აქტუალური საკითხია და პროექტის სამეცნიერო შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას აღნიშნულ ორგანიზაციასთან პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესში“, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში პროექტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა გიორგი გოგსაძემ. პროექტში წამყვანი ორგანიზაციის სტატუსით მონაწილეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი განხორციელებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ბაზაზე. აღნიშნული მიმართულება თსუ-ს ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ერთეულია – წელს მას დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა.

## საქართველოს რეგიონების საზოგადოებრივ-გეოგრაფიული ატლასის ელექტრონული ვერსია მზადაა

აქტუალური

მანია ტორაძე

„საქართველოს რეგიონების საზოგადოებრივ-გეოგრაფიული ელექტრონული ატლასი“ – ასე ჰქვია პროექტს, რომელიც თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ფარგლებში მომზადდა. პროექტს ხელმძღვანელობდა ასოცირებული პროფესორი **გიორგი კვინიკაძე**, ხოლო თანახელმძღვანელი იყო პროფესორი **თამარ დოლბაია**. პროექტი ქრონოლოგიურად მოიცავს 10 წელს. ის 5-წლიანი ინტერვალთა შედეგები და, დროებით ოკუპირებული ორი რეგიონის გარდა, საქართველოს ყველა რეგიონის მოიცავს. რეგიონები გამოკვლეულ იქნა 97 მაჩვენებლის მიხედვით, მათ შორისაა დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა ფაქტორები. სულ შედგენილი და ვიზუალიზებულია 144 რუკა და 46 დიაგრამა. რუკები დაეყრდნო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ღია წყაროებს. პროექტის ხელმძღვანელის თქმით, რუკების ელექტრონული ფორმა იმიტომ აირჩიეს, რომ ეს გაგრძელებადი პროექტია – აქ



ამდენ მოპოვებულ ინფორმაციებს ხუთი წლის შემდეგ კვლავ დაემატება განახლებული მონაცემები და ასე დაინერგება საქართველოს რეგიონული განვითარების ისტორია. „პროექტის იდეა იყო ჩემი, რადგან იმხელა დისპროპორციებია რეგიონების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში, რომ რთულად წარმოსადგენია, არ დაფიქრდე. მაგალითად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 71 პროცენტი ორ რეგიონზე ნაწილდება – თბილისსა და აჭარაზე. საქართველოს დანარჩენი ნაწილი მძიმე დღეშია. განსაკუთრებით ეს ითქმის მთიან რეგიონებზე, რაჭა-ლეჩხუმზე, ქვემო სვანეთზე, ზემო იმერეთის მთიან ნაწილსა და გურიაზე. ამან გვიბოძა – დავეკვირვებოდით სა-

ქართველოს რეგიონების განვითარების დინამიკას და მოგვეხდინა მისი ვიზუალიზება“, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში პროექტის ხელმძღვანელმა, ასოცირებული პროფესორმა გიორგი კვინიკაძემ. პროექტის მნიშვნელობას ისიც განაპირობებს, რომ საქართველოში დიდი ხანია რეგიონებში არსებული მდგომარეობის სრული, კომპლექსური ვიზუალიზაცია არ მომხდარა. მშრალი სტატისტიკა, რომელსაც სტატისტიკის სამმართველო აქვეყნებს, არ იძლევა სრულწარმოდგენას განვითარების დინამიკაზე. ახლადშექმნილ ელექტრონულ რუკებზე კი კლასიფიცირებულია – თუ როგორ გამოიყურება თითოეული რეგიონი საქართველოს ერთიანი მონაცემების ფონზე. ეს მონაცემები დატანილია დიაგრამებზე, რაც ზრდის ამ პროექტის ინფორმატიულობას. პროექტის მონაწილეების თქმით, ურბანული რეგიონები პრაქტიკულად მეტ-ნაკლებად კიდევ რალაცნაირად არსებობენ, მაგრამ მათში ესეც აღარ შეიმჩნევა, რადგან ლენტიდან, ადიგენიდან ან ხარაგაულიდან დაახლოებით ისეთივეა ათას კაცზე მიგრაციული დანაკარგი, რამდენიც ნებისმიერი სოფლიდან. ეს მიბმულია ინვესტიციებთან და, შესაბამისად, სამუშაო ადგილების შექმნასთან. ამდე-

ნად, რეგიონების საზოგადოებრივ-გეოგრაფიული ატლასი კარგი საშუალებაა – თვალის ვადევნოთ, სად უჭირს მეტად მოსახლეობას და როგორია მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დინამიკა. პროექტში ჩართულნი იყვნენ უფროსი მკვლევარი, ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი, დოქტორანტი დავით ნადირაძე, სტუდენტები: ნუცა ოსაძე, ინა ბოლოთაშვილი და რუსუდან-ფემია რეხვიაშვილი. „ამ საქმის 90 პროცენტზე მეტი სწორედ სტუდენტებმა გააკეთეს. ვამაყობ, რომ პროექტის ფარგლებში გეოინფორმაციული სისტემების 4 სრულყოფილი სპეციალისტი ჩამოყალიბდა, რაც ამ ლაბორატორიის ხელმძღვანელი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის, დავით სვანაძის დიდი დამსახურებაა“, – ამბობს გიორგი კვინიკაძე. საქართველოს რეგიონების საზოგადოებრივ-გეოგრაფიული ატლასის ელექტრონული ვერსია მზადაა. მის მიმართ დაინტერესება იმდენად დიდია, რომ პროექტის მონაწილეები ახლა მისი ბეჭდური ვერსიის მომზადებაზე მუშაობენ. ცოტა ხანში საუნივერსიტეტო საზოგადოება ატლასის შესანიშნავ გამოცემას მიიღებს.





# ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა

ენოლოგია

14 აპრილს თსუ-ში ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიხსნა სახელმწიფო უნივერსიტეტში – „სალიტერატურო ენის საკითხები: ძირითადი ტენდენციები და პრობლემები“. ამავდროულად ღონისძიების ფარგლებში მოეწყო რარიტეტული წიგნებისა და ცნობილი უცხოელი ქართველოლოგების ნაშრომების გამოფენაც.

ღონისძიების გახსნის ცერემონიაზე ორგანიზატორებმა 1978 წლის 14 აპრილის ისტორიულ დღეზე ისაუბრეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ აღნიშნა: „14 აპრილი არის უმნიშვნელოვანესი დღე არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებიც საბჭოთა კავშირში შედიოდნენ. სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწყებული პროტესტის შემდგომ გახდა იძულებული საბჭოთა ტოტალიტარული ხელისუფლება, რათა საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების კონსტიტუციებში ასახულიყო ჩანაწერი, რომ ყველა ამ რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა ყოფილიყო მშობლიური ენა. დღევანდელი კონფერენცია ეძღვნება ქართული ენის თანამედროვე გამოწვევებს. ენა ცოცხალი ორგანიზმია. მას ყოველთვის სჭირდება დაცვა და განვითარება და მასზე მუშაობა სწორედ ჩვენს უნივერსიტეტში უნდა მიმდინარეობდეს“.

კონფერენციაზე მოხსენებების წარდგენისას ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა განიხილეს ქართული ენის წინაშე არსებული პრობლემები, მათი გადაჭრის გზები და კვლევის ახალი მიმართულებები. მიღწეული შედეგები და საქმიანობა შეაჯამეს თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა. ღონისძიების საგულისხმო ეპიზოდი იყო კონფერენციის სხდომის თავმჯდომარის, პროფესორ ნანა მაჭავარიანის მიერ წარდგენილი ენათმეცნიერების ინსტიტუტის 2024 წლის ბეჭდური გამოცემები. ამავდროულად ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ლია ქაროსანიძემ ქართული ტერმინოლოგიის ტექნიკურ ამოცანებსა და სამეცნიერო მიზნებზე გაამახვილა ყურადღება. სხვა მოხსენებებში თემები შეეხებოდა ქართული ენის ციფრული სწავლების მნიშვნელობასა და სწავლა-სწავლების თანამედროვე მოდელს, საზოგადოების დამოკიდებულებას სალიტერატურო ენის ნორმებისადმი, იურიდიული ენის სტანდარტიზაციის პრობლემებს თანმიმდევრული თარგმნის კონტექსტში სხვადასხვა ენის მაგალითზე, სოციალური ქსელების ენის თავისებურებებს და სხვა.

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა



სპეციალურად ვიმსჯელებ იმ სფეროებზე, სადაც ჭირს ქართული ენის ფუნქციონირება. ასეთია, მაგალითად, ციფრული სამყარო. ყურადღება გავამახვილებ იმაზე, რა მიმართებაა ქართული ენის ფუნქციონირებასა და დამტკიცებულ ნორმებს შორის, რა ფაქტორები უშლის ხელს მიღებული ნორმების ცხოვრებაში გატარებას

დარეჯან თვალთვაძემ კონფერენციის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ქართული ენის დღე და ისაუბრა ქართული ენის დაცვის აუცილებლობაზე თანამედროვე ეპოქაში: „1978 წლის 14 აპრილს ჩვენ ვაჩვენეთ ყველას, რომ ქართველი ხალხი არ აპირებდა ქართველობის დათმობას. იმ დღეს ქართული ენის დაცვით ქართველი, უპირველეს ყოვლისა, ქართველობას იცავდა. მომდევნო წლებში ჩვენი ისტორია ისე წარიმართა, რომ ქართული ენის ბრძოლით დაცვა არ დაგვჭირვებია, მაგრამ ახლა ჩვენ გვჭირდება ქართული ენის დაცვა სხვა კუთხით – ზრუნვა მის განვითარებასა და, ასევე, სახელმწიფო ენის ფუნქციონირების არეალის გაფართოებაზე, სალიტერატურო ენის სინამდის დაცვაზე. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში არ უნდა დავიშუროთ ძალისხმევა, რომ ქართული ენის სწავლების ენა სრულიად საქართველოს მასშტაბით. მინდა, მაღლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელიც არ წყვეტს ქართული ენის დაცვასა და განვითარებაზე ზრუნვას“.



ავთანდილ არაქშვილი

აღსანიშნავია, რომ წლებადღელ 14 აპრილს პროფესორ **ლარიჟან თვალი-თვაძის** ქართული ენის განვითარებაში შეტანილი გამოჩენილი წვლილისათვის საპატიო ჯილდო გადაეცა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ.

საერთაშორისო კონფერენციის პირველი მომხსენებელი იყო თსუ-ს პროფესორი თინათინ ბოლქვაძე, რომელმაც ქართული ენის ფუნქციონირებისა და მისი სტანდარტიზაციის პროცესზე ისაუბრა. მისი თქმით, ახლა ქართულ ენას უდიდესი კონკურენციის პირობებში უნევს ყოფნა და გადარჩენა, ამიტომ აუცილებელია იმაზე ფიქრი – თუ როგორ გაუმკლავდეს ქართული ენა ამ პრობლემებს. „მე განვიხილე ის ძირითადი სფეროები, რომლებშიც ყოველთვის და მაღალხარისხოვნად გამოიყენება ქართული, როგორც სახელმწიფო ენა. ამას გარდა, სპეციალურად ვიმსჯელებ იმ სფეროებზე, სადაც ჭირს ქართული ენის ფუნქციონირება. ასეთია, მაგალითად, ციფრული სამყარო. ყურადღება გავამახვილებ იმაზე, რა მიმართებაა ქართული ენის ფუნქციონირებასა და დამტკიცებულ ნორმებს შორის, რა ფაქტორები უშლის ხელს მიღებული ნორმების ცხოვრებაში გატარებას“, – აღნიშნა თინათინ ბოლქვაძემ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“-ს საუბარში.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ყოველწლიურად ტარდება სალიტერატურო ენის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია და 2025 წლის კონფერენციაც ამ ტრადიციის გაგრძელებაა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ყოველწლიურად ტარდება სალიტერატურო ენის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია და 2025 წლის კონფერენციაც ამ ტრადიციის გაგრძელებაა.



თინათინ ბოლქვაძე



ლარიჟან თვალთვაძე



ნანა მაჭავარიანი

მთავარი რედაქტორი

ნინო კაკულია

მთავარი სამცნაოსანი

მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი

ირმა სულიაშვილი

შურნალისტები:

თამარ დადიანი

შურთია ბეროშვილი

ნინო ჩარკვიანი

კონსულტანტები:

ირმა ჯვალაღონია

მერაბ კოკოჩაშვილი

ფოტოკომპოზიტორი

გიზო ყუფარაძე

კომპ. უზრუნველყოფა

მიხეილ თვარაძე

რედაქციის წევრები:

მანანა შამილიშვილი,

იაგო კაჭკაჭიშვილი,

ირმა რატიანი,

ირინე დარჩია,

თინათინ ბოლქვაძე,

ვლადიმერ პაპავა,

ეთერ ხარაიშვილი,

რევაზ გველესიანი,

ეკატერინე ფირცხალავა,

ნინო განჩილაძე,

თემურ ნადარეშილი,

ლელა ჯანაშვილი,

მაია ივანიძე,

მამუკა მარგველაშვილი,

გია ლობჯანიძე,

ნინო უგრეხელიძე

მისამართი:

ილია ჭავჭავაძის გამზ. 11<sup>ა</sup>

(თსუ-ის მე-3 კორპუსი)

577 52 77 73

ვებგვერდი:

gazeti.tsu.ge

ელ.ფოსტა:

nino.kakulia@tsu.ge



gazeti.tsu.ge

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ თვეში ერთხელ გადურთავს სახით გამოცემა.

ახალი ყოველწლიური ჩვენს ვებ-გვერდს gazeti.tsu.ge

მოგვაცხადეთ ინფორმაცია გასაუბრებლად და გაეცანით საუნივერსიტეტო სინაზებს

